

კაჟა ეტზისედი

კლსური
ფსალმუნები

100-გომეული




გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2019

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად


2019



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ქალღმერთ-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

ტომი 8

2019



მთ. რედაქტორი

მამკალა გონაშვილი

პოეტი, მწერალთა კავშირის
თავმჯდომარე, ილია ჭავჭავაძის,
გალაკტიონ ტაბიძისა და ანა
კალანდაძის პრემიების
ლაურეატი

© ვაჟა ეგრისელი, 2019

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2019

თბილისი, 0186, ა. პოლიბაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-671-3 (8 ტომი)



* * *

ვაჟა ებრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული სახლგარბარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ღმრთობის მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტყვანი“, აღმსანდრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო გაჟაჟვილი“, ფეოლორ ტიუტჩევის ღმრთობი და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ღმრთობის მოგვეელი ერთტომეული – „იქმენ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველო რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინეა“ გამოცეა ვაჟა ებრისელის „კოლხური ვსალგუნეობი“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტი გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ჟმნილება იყო დაგველი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულიები, ხოლო 2011 წელს დაიგვეა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ღმრთობი დასტამველი.

ვაჟა ებრისელის შემოქმედაზე ორმოცამდე მონობრაფია დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველო და მსოფლიოს რამენიმე მვენიერებათა აკადემიის ნამველი წვერია... 2016 წლიდან საქართველო მწერალთა, მვენიერთა და საზოგადო მოღვეაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწვეს ქართული კოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალატიონ ტაბიკის პრემიების ღაურებატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმსანდონის მეღლისა და „ღიოსკურია 2005“-ის, მვენიერების ოქროს ვარსკვლავისა და მვენიერების ღროვის ორდენის მვენიერების, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მვენიერთა და საზოგადო მოღვეაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს პრემიენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საწრო-სამვენიერო აკადემიის ვიდე-პრემიენტის,



აფხაზეთის მმართველობათა აკადემიის პრეზი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სოგის, იყალთოს სა-კაპიტო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტმეგრდიანი ტო-მეულების „კოლხური ფსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხუ-რი ფსალგუნების“ ოცდაათტომეულის გამომცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზის ხუთასზე მეტმეგრდი-ანი, უმაღლეს პოლიბრაფიულ დონეზე შემსრულებული ტომები. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური ფსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამზადებულია დასაბეჭდად ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ათტომეუ-ლი, აგრეთვე, პრეზისადგი მიძღვნილი ძარტველი და უცხოე-ლი პრეზების, მმართვეობისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხე-თის) სარო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კენჭისყრით ერთ-ხმად აირჩია ამავან აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პრეზი, ძარტული პრეზიის რაინდი, ძარტული კულტურის დესკანი, „კოლხური ფსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობათა სააკატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰეავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწარალი) და ორი ჰეპიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვი-ლიშვილი – ვაჟა, ნათა და ლილუ. იგი – მმცხრე შვილია (შვიდი ძმა და ორი დე).





პოეტის ასტროგული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ებრისელიძის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაკტიონს, ღმერთი არ მიუწყენ რომ შეგაღარო. გავხარ ზღვის ღელვას და ნაზ სიონსაც, რომ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „უსაღმუნები“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაბონილი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მმტგვერდიანი „ბაჟალლო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველების გასაბონად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაკტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ჭუტაია“, არმის ჭაღაში მღბარი მუხაა, რომელსაც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა პი არა, კელაზგმა იაზონმა მღვასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიან, კოლხეთის მითიური ხელმწიფის, ანეტის ხელით ღარგული, ის ურჩხულ მოღარაჟე მუხაა, რომლის ცაღაწვილ ტოტეზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნების“ იბავეიუვლომელი ასტროგული დაკიდა და გააცოცხლა, მიძინებული, ღავიწყების ნაცარმიჭრილი, არა მართო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათთხმეტზე მმტ საუკუნოვანი მითებით, ღმუნდებითა და საოცრებებით დახუნდული ისტორია, რაც ჰომეროსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკეთებია.

100-ტომეული... ძველის ბანენის დიდან, XXI საუკუნის რიქრაჟამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოსური, ყოველსმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დღემდე...
კოსმოსში პი...
ღაგოლოს:

„ანეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გველქვაი მისწოლია... მათ იცინან იმ ოწყება ღმუნვიოს ისტორია“.

ბუნაზ ხარაიშვილი

პოეტი, ბალაკტიონ ტაბიძის პრემიის ღაურიატი, ჯუმბერ ღმუნას სახელობის მცნებრებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი



**„გულციხაღ მხეზღი ყოველ ქებას, ყოველ
ქაბეზას.“**

ა. პუშკინი

**წინასიტყვაობის მაბიერ
(გაგრძელება)**

ფსალმუნები უფლისთვის დანთებული სანთლებია: „ჩემი სიცოცხლის მაღალ ნაძვის ხეს, ცვივალოცვების მწვანე წიწვები და შენ შორიდან მიესალბუნე. ო, უხილაგო, კვლავ მოწიწებით სანთლებად გინთებ „კოლხურ ფსალმუნებს“ (ჩემი სიცოცხლის მაღალ ნაძვის ხეს).

„კოლხური ფსალმუნებით“ „ნათლისმცემელი“ პოეტი ამბობს: „ვერ შეველოდა მზის ამოსვლას, ამის გამო კადმოს წუხდა. შენ კი პოეზიის საღ კლდეს დაჰკარ კვერთხი, როგორც მოსემ და „კოლხური ფსალმუნების“ წყარო ოქროდ გადმოქუხდა“ (ვერ შეველოდა მზის ამოსვლას).



ათასწლეულებისთვის, მარადიულობისთვის გამიზნული ეს წიგნი „ათასწლეულთა სარტყელით“ დედამიწას აღიქვამს დიდ ჩანგად, მილიონი ასწლეულის ღარებით, რომელზედაც დაკვრის მადლი არსთაგანმრიგემ ქართველ პოეტს დაანათლა (დედამიწა).

მრავალგვარ გზამკვლევს გეთავაზობს პოეტი ამ უმშვენიერეს „ზესთა წიგნების“ „ზესამყაროში“ შესასვლელად:

„ათასწლეულების მერე, ნაღურსმანზე ვიფენ იებს და „კოლხური ფსალმუნების“ ოქროს თასში, როგორც არიმათიელი, ისევე ვღვრი ქრისტეს ინიციაციებს“ (ქრისტეს ინიციაციებს).

„სულის მზრდელი“ გალობის დიდოსტატთან გვიწევს შეხვედრა ამ ტომეულებში: „შენი აზრი ელვაა და მნათთა ოკეანეს ერთვის. შენი სიტყვა არის ღმერთი, გალობაა სულის მზრდელი“ (შენი აზრი ელვაა და).

ტრადიციების შემცნობ-დამფასებელია, მაინც უარს ამბობს მათზე: „სხვაა კოლხური ფსალმუნი, სულ სხვა ჰანგი აქვს იადონს. ძნელ გზას ვერ გავიოლებ და სათქმელს ვეღარ მივანდობ: სონეტს, ტერცინას, ტრიოლეტს“ (სხვაა კოლხური ფსალმუნები).

პოეტი დარწმუნებულია, რომ ზემოხსენებული ტრადიციული ჟანრები ვერ დაიტევვენ მის უკიდევანო



სათქმელს, ამიტომ ირჩევს „მთიებივით ტროპარს“, „ლოცვისფერ კონდაკს“, გალობის ინტონაციებს, გალობისა, რომელიც „ღვთის ტაძარში აღარ ეტევა“.

ეს ისეთი გალობაა, რომლის შესწავლა იოანე ღვთისმეტყველის აპოკალიფსში მხოლოდ ქრისტესთვის სისხლის გამღებთ, თეთრად შემოსილ წმინდანებს, კრავის გამოსყიდულთ ხელეწიფებათ.

პოეტმა მოსესავით გათელა უდაბნოს გზები (უდაბნო ურწმუნოთა სავანეა, სააქაოს ცოდვილი ყოფაა, ღვთისმეტყველთა მიხედვით), მოსესავით კლდიდან კვერთხით წმინდა წყარო ააჩქევა (კლდე, წყალი ღმერთის, კვერთხი მარიამის მეტაფორაა) და დაარწყულა რწმენას დანატრებულნი, მოსესავით რიდე მანდილით მოიბურა სახე და როგორც მოსეს სჯულის ფიცარი, ისე ებოძა უფლისგან მადლცხებულ „იქმენ ნათელი“ თავისი რჩეული სიტყვის წიგნი, „წიგნი ამირანი“.

ბიბლიურ ნოესავით წარღვნის მაყურებელი, თავის საუკუნეშიც მოელოდა წარღვნას, ცოდვილთა განსჯას და ნოესავით ააგო პოეზიის კიდობანი სიტყვის, აზრის, ჭეშმარიტების, სიღამაზის, სულის გადასარჩენად: „ბოლოს მეორე ათასწლეულის, ლექსთა წარღვნაა და წყალდიდობა, არა ჩანს მთები არარატის და არც დარჩელის... და შენი წიგნი მოკგავს კიდობანს, წარღვნას და მეორედ მოსვლას გადაარჩენილს“ (წიგნი „იქმენ ნათელი“).



პოეტი ითვალისწინებს, რომ ყოველი ეპოქის ნააზრევს მოელის დიდი განსჯა-განკითხვა ღმერთის სამსჯავროზე. მართალია, მისი „კოლხური ფსალმუნები“ ორ წარღვნას გადარჩენილია, მაგრამ შვიდი ათასწლეულის მერე მოსალოდნელი რისხვაც ელანდება ღვთისა. სწორედ ამ უშორესი დროისათვის აგებს „კოლხური ფსალმუნების“ „მითიურ კიდობანს“ ანუ მარადისობის გადასახედს ირჩევს, ხოლო თავისი პოეტური შედეგების გამძლეობა გათვლილი აქვს ყველაზე დიდი კატაკლიზმების, გამოცდების და განსაცდელისთვის, ანუ უდროო დროისათვის: „ერთს კი არა, ორ წარღვნას ბედად გადარჩენილი, შვიდი ათასწლეულის მერეც ველი ღვთის რისხვას, მერესს და წყაღდიდობას და... ვით ნოე, მეც ვაგებ:

„კოლხური ფსალმუნების“ დიდ მითიურ კიდობანს (ნოეს კიდობანი).

„ხესთსამყაროს იღუმალების ვერ შეუცნობი კვლავ ფარავს რიდე“, განაცხადა იღუმალეზასთან წილნაყარმა პოეტმა. ბიბლია, წინასწარმეტყველთა წიგნები იგავური ხერხით გვაწვდიან სიბრძნეს.

იგავური მეტყველებით იქცევეს ყურადღებას დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნი: „ყურს მივუგდებ იგავს, ქნარზე ამოვხსნი ჩემს ამოცანას (ფს. 49, 5).

„იგავებით გავხსნი პირს, ავამეტყველებ გამოცანებს დასაბამისა“ (ფს. 78, 2).



ეზეკიელ წინასწარმეტყველი ასე იწყებს თავის ხილვათა გაცხადებას: „იყო უფლის სიტყვა ჩემს მიმართ ნათქვამი: 1. ადამის ძევ: მიეცი გამოცანა და შეუთხზე იგავი ისრაელის ხალხს“ (ეზეკილი, 17, 12).

ოსიას წინასწარმეტყველებაში ღმერთი „მეტყველებს“ იგავურად: „მე ველაპარაკებოდი წინასწარმეტყველთ და მე გავამრავლე ხილვები, წინასწარმეტყველთა პირით იგავურად ვლაპარაკობდი“ (ოსია, 12, 11).

ისო ზირაქის მიერ ნათქვამია: „შენმა სულმა დაფარა დედამიწა და აღავსე იგი იღუმალი იგავებით (სიბრძნე ზირაქისა, 47, 15) შენი საგალობლებით და ანდაზებით, იგავებით და განმარტებებით განცვიფრდნენ ქვეყნები“ (სიბრძნე ზირაქისა, 47, 17) (17, 69).

იგავური აზროვნების მწვერვალია საღვთო სიბრძნით გამორჩეული სოლომონ ბრძენის „იგავნი სოლომონისა“.

ვაჟა ეგრისელს იმდენად აქვს გათავისებულები ეს ხერხი, რომ იგავთან განსხეულებულად წარმოჩენდება: „გაცდი ცის მერიდიანებს და განსხეულდი იგავთან“...

თითქოს ბიბლიური წინასწარმეტყველია მისი წინამძღვარი:



„ვარსკვლავებით მონაქროლი სიშორე და ის აურა, მთვარით შესამოსია, ვლავარაკობ იგავურად მეც ისე, ვით ოსია“ (ვარსკვლავებით მონაქროლი).

მისი იგავური აზროვნება უფლისგან ხელდასმულია: „... და იგავით ბეჭდებს სსნი უფლისგან ხელდასმული“ (კოლხეთის კოსმიური), წერს პოეტი.

იგავები, ზღაპრები, პარადიგმები და ნართაულებია „კოლხური ფსალმუნების“ ავტორის პოეზიის მახასიათებელი:

„იგავების მოგვლევს ჯარი, ლოგინს ზღაპრის კარად იგებ ჩემო... და მტერს რა დაუღევს შენი აზრის პარადიგმებს, შენი სიტყვის ნართაულებს“ (იგავების მოგვლევს ჯარი).

„მაღალი და მაღლად მხედი“ პოეზიის უპირველესი ნიშანია იგავი: „ისე, ვითა კორინთელი, ამბავს ამბობ შენც იგავით. ზეცამ მოგცა ამის ბედი, რომ სულ იყო ცის მჩხიბავი, მაღალი და მაღლად მხედი“ (ისე, ვითა კორინთელი).

იგავურად მიგვანიშნებს თავის მისიას იყოს ღმერთთან მოდავე და მორკინალი: „ქერუბიმების ფრთათა შრიალში სამყაროს ნამავს ცრემლი ღრუბლების, ლოცვა-კურთხევით შენ რომ ამკობდი და მეც იგავით გესაუბრები, შენ ხარ ესავი, მე იაკობი“ (შენ ხარ ესავი, მე იაკობი).

საიდუმლო სიბრძნის განჭვრეტას ცდილობს იგავ-მითებში (ხილვა: ლაზარეს აღდგინება).



ნიცმე ბრძანებდა: „მრავალი გზით და სახით მიველ მე ჭეშმარიტებასთან: არაერთი კიბით აველ მე მწვერვალს.

„ათასია ბილიკი, რომლითაც არავის უვლია. ათასი ჯანსაღი და ფარული კუნძულები ცხოვრებისა. უწურავია და კვლავ არ აღმოჩენილა ადამიანი და მიწა ადამიანისა“ (18, 63). მრავალი გზით გვაწვდის ვაჟა ეგრისელი სიბრძნეს, რომელთა შორის ძლიერ გაუთავისებია იგავური გზა.

მითების, ლეგენდების ახლებური გააზრებითაც იქცევს ყურადღებას ვაჟა ეგრისელის პოეზია: „დავიწყების დანისლულ მთებიდან, კოლხეთში მითებს და ლეგენდებს, ვითარცა ცხვრის ფარას მოდენი. მედროშევ! შენ! „ოქროს საწმისის“, რაინდო გრაალის ორდენის“ (დავიწყების დანისლულ მთებიდან).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორის ნაფეხურებს „მწვევართ მისდევს ლეგენდა“.

„ლეგენდებში მშობა დალიმ. ზღაპრად მზრდიდა სულკალმახი და სამშობლო მქონდა მუდამ ციხეკოშკად ცამცუმისი და რაც ღმერთმა მიკარნახა, ოქროა თუ უხალთუნი, არა რაა, ჩემო, სხვისი, სულ ჩემია, სულ ქართული“ (ლეგენდებში მშობა დალიმ), ასე დაუკავშირა პოეტმა ლეგენდა პატრიოტულ პრობლემას, თავის ესთეტიკას.

ათასწლეულების მიღმა, ლეგენდებში და მითებში დანთებული ფიქრის სანთლებით ახლებურად



ელვარებს პოეტის უდიადესი სათქმელი: „ათასწლეულების მიღმა, მითებში და ლეგენდებში ფიქრის თაფლის სანთელს ვანთებ და ვით ზევსი, შემწედ ვუხმობ: კურეტებს და კორიბანტებს“ (კურეტებს და კორიბანტებს). ვაჟა ეგრისელის პოეზიას ამშვენებს ლაზური, კოლხური, რომაული მითები: „შორეთს მიმავალ შენს გემს კოლხური და რომაული მითების ანბა შვენის და თეთრი აფრა ლაზის“...

თითქოს დედა-მიწამ გამოიხმო პოეტი შორეული მითიდან:

„დედა-მიწა მოხუცი, შვილს გენახა, გითვლიდა და, აჰა, შენც მოხვედი, როგორც დიდი პოეტი, შორეული მითიდან“.

პოეტისათვის ორგანულია ენიგმები და არა სათქმელის გაშიშვლება: „ცაში ვერ ავიტანე დედამიწის სიმძიმე! მისმობს, მეძახის სატურნი, მის მიღმა კი ციმციმებს რაღაც ენიგმატური“ (ცაში ვერ ავიტანე).

ენიგმატურის სავანე არის არა მიწა, არამედ ცა, ვარსკვლავები, ხილულის მიღმა: „ციდან ერთი ვარსკვლავი, სულ რაღაცას მანიშნებს, ოქროს თავის კანტურით მის თვალთაგან გადმოდის რაღაც ენიგმატური“ (ერთი ვარსკვლავი).

პოეტს უხილავს მეთერთმეტე ცა, ღმერთების ცა, „ცანი ცათანი“ და ეზოტერულ სიბრძნეს ზიარებია: „მეთერთმეტე ცის დარბაზში, არც თენდება,



არც ღამდება, სადღაც ვარსკვლავების იქით, მოვერცხლილი ჩანს რიკული და უფრო შორს ილანდება რაღაც ეზოთერიკული“ (ეზოთერიკული).

გიორგი გურჯიევი წერს: „კაცობრიობის ისტორიაში ვხვდებით ორ ერთმანეთის პარაფელურ, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებულ ცივილიზაციის გზას: ეგზოთერიკულს და ეზოთერიკულს.

ეზოთერიკული ცივილიზაციის პერიოდი მაშინ დგება, როცა პოლიტიკური თუ სხვა პირობები და გარემოებანი ხელსაყრელია, მშვიდია. შემდეგ ეს ცოდნა ფართო გავრცელებას პოულობს. ასე იყო ქრისტიანობის დროს“ (19, 172).

თუ ეგზოთერიკული ცოდნა საიდუმლოს არ წარმოადგენს და განკუთვნილია ყველასათვის (რელიგიური, მისტიკური მოძღვრებები), ფართო მასებისათვის, ეზოთერიკული მხოლოდ ხელდასხმულთათვის, განდობილთათვის არის გასაგები და მისაწვდომი.

ცის გახსნის შემსწრე, ტრანსცენდენტურის წყურვილით სავსე პოეტი სიხარულით გვამცნობს: „ცამ გაგიღო ბოლომდე სიხარულის კარიბჭე და ბედს რაღას ემდური? შენში ჩუმად ბობოქრობს რაღაც ტრანსცენდენტური“ (ცამ გაგიღო ბოლომდე).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში მრავლად არის „ტრანსცენდენტური ლექსის ლიცენციები“.



პოეტისათვის ორგანულია „ხერეალიზმი“ „შეფარვით ნათქვამი სიტყვა“ ენიგმური სახეები, სიმბოლო, მეტაფორა, პარაბოლა, იდუმალი, საიდუმლო, მრავალნიშნადობა. ასეთ ხელწერას ბიბლიასთან, ანტიკურ და ადრექრისტიან მოაზროვნებთან, აპოლოგეტების სიმბოლიზმთან, ეგვიპტის ქურუმებთან მივყავართ, მაგრამ პოეტი არასოდეს იმეორებს სხვათა მიგნებებს, კანონიკურ სახეებს, კლიშეებს. იგი ყოველთვის თავისებურ გააზრებას აძლევს მათ, ფართო თვალსაწიერს ავლენს და ამრავალფეროვნებს ტრადიციებს. ალეგორიზმისა (ფილონ ალექსანდრიელი) და ქრისტიანული სიმბოლიზმის წარმომადგენლები (კლიმენტი ალექსანდრიელი, ნეტარი ავგუსტინე, გრიგოლ ნოსელი) უპირატესობას ანიჭებდნენ „მრავალსახედ დაბეჭდილ“, „ფარდის მიღმა“ განჭვრეტილ ჭეშმარიტებას, „შეფარვით ნათქვამ სიტყვას“, რომელიც გამიზნულია ხელდასხმულთათვის და არა პრიმიტივებისთვის.

„სიმბოლიკური ფორმა ოსტატურად ფარავს ჭეშმარიტებას, რომ ამ დაფარვით საჩინო ჰყოს და იდუმალყოფით გაამჟღავნოს იგი“ (გრამატიკოსი დიდიმი).

იდუმალების ჰიმნია იმპერატორ იულიანეს „ღმერთის დედოფალს“; „ბუნებას უყვარს იდუმალყოფა. იგი არ გამოაჩინებს თავის არსებას უწმინდურ ყურთათვის გადაგდებულ პირდაპირი სიტყვით. შე-



უცნობელი და იღუმალი ბუნება იმისთვის შეიქმნა, რომ იგი სიმბოლოთა მეშვეობით გამჟღავნდეს. რაც უფრო პარადოქსული და უცნაურია ენიგმა, მით უფრო გვიდასტურებს იმის აუცილებლობას, რომ ვირწმუნოთ არა ის, რაც სიტყვით არის გაცხადებული, არამედ ის, რაც იღუმალყოფილია“.

ვაჟა ეგრისელთან უხვად არის იღუმალი და სა-იღუმლო ელფერით მოსილი ხილვები.

ვაჟა ეგრისელმა შეძლო სამყაროს, კოსმიური ჰარმონიის განცდა და ამ ჰარმონიის მხატვრულ სამყაროში უზუსტესად გაცხადება. მისი ლექსწყობის თავისებურებები ჯერჯერობით სრულიად შეუსწავლელია, მაგრამ ამოსავალი წერტილი მაინც იქცევა ყურადღებას. მის ლექსებში ერთად შემთხვევით არ ფიგურირებენ მათემატიკოსები, ფილოსოფოსები.

„ვადიდებ და ვადმერთებ, ბერძნულსა და რომაულს, ე.ი. ანტიკურ აზროვნებას პოეტურს, წვდომას მათემატიკურს“ (ვადიდებ და ვადმერთებ) წერს „კოლხური ფსალმუნების“ ავტორი.

ჰარმონიას, უფლის უზუსტეს გათვლებს ხედავს პოეტი ყველაფერში, ხოლო ამ ჰარმონიის ხელყოფა კი ვაიადამიანებს უკისრიათ: „ვარსკვლავთა ზოდეობით ცას უფლის ანაგებს, ანგრევენ და თავებს ირცხვენენ, სამყაროს განაგებს მათემატიკური რიცხვები“ (ვარსკვლავთა ზოდებით).



ვარსკვლავთა სამყარო უფლის უცდომელ ანგარიშს ადასტურებს: „ვარსკვლავები მათემატიკური რიცხვებია, ოდესღაც უფლის ხელით დაწერილი“ (მწუხრიდან).

უფლის შემწევობით შეაღწია პოეტმა სამყაროს ჰარმონიაში, გახსნა დროის საიდუმლოებები, რაც ადამიანურ შესაძლებლობებზე აღმატებულია ხვედრია: „უფლის ხელით დაკეტილი, შენ გახსენი ჟამთა კლიტე ისე, როგორც არქიმედემ, პინდარემ და ჰერაკლიტემ. და მე მიკვირს: ამდენ ღელვას, წუხილს, სევდას და იმედებს, კაცის გული როგორ იტევს“ (უფლის ხელით დაკეტილი).

ვაჟა ეგრისელი „ზესკნელ-ქვესკნელ-შუასკნელის“ საიდუმლოებებში მჭვრეტელი პოეტია, წინაპართა ცაში ასულ სულებს, „ზე-სამყაროს“ მეგობრულად შეთამამებული: „... დიდ წინაპართა ცაში ასულ სულებს გაგვახი და ზესამყაროს თვალებში ვივლებ“ (თვლემამორეულ გორის ციხესთან).

ცასთან, ზესკნელთან მიდის არა როგორც მხოლოდ პოეტი, არამედ ასტრონომისა და ასტროლოგის პრეტენზიით: „ვარსკვლავებიანი ცა გახურავს, ვით ტიარა და „კოლხური ფასლმუნები“ მიტომბა ასტომობს და გეძახის ზესკნელი, მარტო პოეტს კია არა, ასტროლოგს და ასტრონომს“ (ვარსკვლავებიანი ცა გახურავს).



მის ლექსებში გვეცნაურება ასევე „პოეტი-მიტოლოგი“.

იგი „ფსიქიატრის გულმოდგინებით“ „ფროიდით ნერვებს უსინჯავს ცად მოცახცახე ვარსკვლავებს და ასტეროიდებს“. დიდი კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: „ნამდვილი მწერლობა იქ იწყება, სადაც სხვათა გავლენა დაძლეულია“...

ამასთან, თავისი სიბრძნის წყაროებზეც მიუთითებდა: „ღიახაც ბევრი მისვამს მასკვა-რეკას, შპრეეს, რაინის, პემზას... წყლები, მაგრამ ყველაზე მეტი მიმირთმევია მტკვრისა და რიონის“.

იგივე მოთხოვნის ერთგულია კოლხი ქრისტეს მხედარი: „შორით ისმის ძახილი მთვარის მარმარილოსი, ცის ჭიშკრამდე მისული: შენი პოეზიაა ფაზისი და ნილოსი, დედა-მტკვარი არაგვით, მისისიპი მისურით“ (შორით ისმის ძახილი), ანუ აქ ერთად ფიგურირებს ეროვნული და საკაცობრიო წყაროები.

დიდ პოეზიას გამოარჩევს „სიმაღლე, სითამამე, თვითმყოფი და თვითნაბადი“ (მარადისად შენში არის).

„მაჭარით დაუდუღარით ვავსებ ჭურებს და ლაგვანებს, მსურს ჩემი ღვინო სხვას ჰგავდეს, მაგრამ ვერაფრით ვამგვანებ“, აცხადებს არა წყალგარეული ღვინის, არამედ ზედაშეს პატრონი.

ეს სიბრძნისა და სინათლის ღვინო ყოველ ქვეყანაში დარჩება, როგორც გამორჩეული: „ვითარც სიტ-



ყვა ჭეშმარიტი, არა ფუჭი და რიოში: ისე თბილისს და ერევანს, რომს და პარიზს და ჩიკაგოს, შენი ღვინო სხვის ღვინოში არასოდეს აერევათ“ (ვითარც სიტყვა ჭეშმარიტი).

„მსაჯული, მსჯავრის მღებული“ (ესაია) პოეტი უპირველესად, ბომონებს, კერპებს“ დაუპირისპირდა და ახალი „სიყვარულის იმპერია“, „მაშრიყიდან მღერიბამდე“ გახშიანებული „ხმის ძღვევამოსილი იმპერია“ შექმნა.

თავისი შემოქმედების რელიგიურობას ასე მიგნებულად, ენიგმური სახით გვაგრძნობინებს პოეტი: „კვლავ ხშიანობს... რადგან სულ სხვა ხისგანაა გამოთლილი ჩემი კითარა და ღირა“ (ჩემი კითარა და ღირა).

ხე, სიცოცხლის ხე ღმერთის სიმბოლოა და მიმდინარეობს ბიბლიიდან.

მისი წიგნები არის „მზის ბეჭედდასმული“ (წარსულის დღეები) „მზიანი ღამის“ ცისქვეშეთში შექმნილი, „მზე“ და „მზიანი ღამე“ ქრისტეს სახელებია (30, 124).

მზის გვირგვინი და მთვარის ყავარჯენი უპყრია ვარსკვლავებამდე ამადლებულს: „ვარსკვლავების ბილიკებს მიუყვება მგოსანი ხელში მთვარის ყავარჯენით და მზის გვირგვინოსანი“ (ვარსკვლავების ბილიკებს).



ვარსკვლავი, მზე საღვთო, ხოლო მთვარე საღვთისმშობლო სახელებია. უფლისგან ხელდასმულობა ასეა გამოსატყუელი ღექსში „ახალი წლის სუნთქვა მესმის“: „ახალი წლის სუნთქვა მესმის და ცა სისპეტაკეს ბარდნის. ჩემში სიხარულის ქარით გადმოვიდა უფლის მადლი და ვარ სულიწმინდის ქნარი“ (სულიწმინდის ქნარი).

სიხარული ქრისტეა, რომელმაც „შეპბერა“ თავის მოწაფეებს და უთხრა: „მიიღეთ სულიწმიდა“ (იოანე, 21, 23).

სულიწმინდა კი მადლთა და ნიჭთა გამნაწილებელია.

პოეტური ძლევა მოსილგების განცდას თანამედროვეთაგან შეუცნობლობის სევდაც ახლავს: „ცაც ხარ და მიწაც, კაციც და ღმერთიც. ერთი კი არა, შენა ხარ ორი. ვერ დაგაშორებთ დრო ერთმანეთთან. ჯერაც უცნობი შენ ხარ პლანეტა, მოარული უსამანო სივრცეებს შორის“ (ცაც და მიწაც).

„კოლხი ორფეოსივით გრძნეული“ პოეტის სამყაროში „ოქროს და მარგალიტების მეტაფორები“ ელავს, მისი უჭკნობი სიტყვა „ბილინგვაა არმაზის, მღუმარებით მოსილი ღმერთქალ სერაფიტივით“ (უჭკნობი და ლამაზი).

„მზის და მთვარის თვალებით“ „მეუფებს დღეს და ღამეს“ (ლეგენდებში).



„სხვა სიბრძნით“ არის გამორჩეული პოეტის „სულის ფრთები და გულის თვალები“.

ვაჟა ეგრისელი იცის, ადრე თუ გვიან ყველას მოაკითხავს უზენაესი მსაჯული, რათა გაირკვეს, „ვინ უსინჯავდა პოეზიის აპოლონს მაჯას“ (გვიან თუ ადრე).

ღმერთთან მოდავე, იაკობივით ღმერთთან მებრძოლი პოეტი არც პოეზიის მეფესთან შერკინებას უფრთხის, რადგან სჯერა საკუთარი ძალების: „გადის ათასწლეული... და სთხოვ ცეცხლის ღვთაებას, დიდ ზევსის ძე ჰეფესტოს, ვითარცა კოლხ სარკინოზს, რომ ერთხელ შეგარკინოს პოეზიის მეფესთან“ (გადის ათასწლეული).

მართალია, ჩვენი თანამედროვე წინამორბედი გიგანტების მხრებზე დგას, მაგრამ არავის იმეორებს, ის იწყებს იქ, სადაც სხვები ამთავრებენ: „შენ იქიდან იწყები, სადაც გალა თავდება“ (შენ იქიდან იწყები).

„პოეზიის იმპერიის“ შემქმნელი, ტრადიციების ფასის შემცნობი პოეტი ხაზს უსვამს საკუთარ თავის თავადობას: „არწივივით ქართულ ფრთებით ცისკენ ფრენის არ ანელებ და უკეთეს მერმისს ელი. არც გალა, არც გრანელი, შენ ხარ ვაჟა ეგრისელი“ (არწივივით ქართული ფრთებით). „ზე-შემოქმედება ომია დიდგორის საკუთარ თავთან მოგებულ“ (მთები), ამ-



ბობს პროექტი და ყოველი ლექსის წერისას ემზადება „სადიდგოროდ“.

მრავალგზის ჩნდება მის შემოქმედებაში სვეტიცხოვლის და არსაკიძის სახე, არსაკიძის მოჭრილი მკლავი, „დამის მსახური“, სულს რომ სთხოვს პოეტს, რითაც მინიშნებულია მსხვერპლის, გულის სისხლის გაღების აუცილებლობაზე, რის გარეშეც არ არსებობს დიდი შემოქმედება.

ვაჟა ეგრისელი იწყებს არა თავისი თანამედროვეობიდან, არამედ პრეისტორიის უღრანებიდან, ისტორიის ჯუნგლებიდან, ტრამალებიდან და „ფიქრის ოქროს ძაფებს პროექტი ჩუმად ართავს ათასწლეულთა გორგალს“ (ესმის ცასა და ვარსკვლავებს), „ასი ათასწლეულია“ მისი გადასახედი (კოლხი ორფეოსივით).

პრ(ო)ფ. **ლუარა სორდია**

გაგრძელება შემდეგ ტომში



ენბური

ლოცვად იღბა ენბური*

და საკუთარი ღმერთისთვის
სანთელ-საკმელს იკმევდა.

რადგან კოლხი მეფობდა –
ტროას,

ატლანტიდას და,
კრეტესაც და მიკენსაც.

1971

*ენბური – პირველი ეკლესია დედამიწაზე

თუმცა პოეტების არის მრავლობა,
მაგრამ მაინც კი არის
მცდელობა,
ისე, ვით ერთ დროს გაუას "ფშავლობა"
ვაჟა ეგრისელს
"დაუწუნონ"
ეგრისელობა!

1987



მიყვარხარ!

არ გაგვთვალონ.

ავსულებს ვუთხრათ არული.

რადგან, ჩემო,

მიწიერი კი არა,

კოსმიურია –

ჩვენი სიყვარული.

1977



სცილას გამოეპარე!
და ისე, ვით ოდისევეს,
თავი აგარიდა,
იქვე ჩასაფრებულმა –
თვალბედითმა ქარიბდამ.

1993



წყარო ამოჩუხებდა,
სად ბოძალი დაჰკარი
და ხეს ხელი შეახე.
პოეზიის შუადღე –
უფლის ცა ხარ –
თაკარა.

1996



ბაბილონის გოდოლი

უპირველეს ყოვლისა,
ბაბილონის გოდოლი
ან მარესგან იკურთხა.
ქალდე დასტრიალებდა
მშენებარე ზიკურთას.
კოლხური მზე იქიდან –
ამობრწყინდა,
აღმოსდა!

მერე?
მერე ჩაქრა და...
არვინ უწყის, რა მოხდა!

1979



“ეფუთი”, “ბიბლია”

ო, მაშინ სამყაროს შემოქმედს,
კოლხეთი –
ათასწრად მოურთავს,
როცა მან მკერდზე მზე დააბნია.
მას ჰყავდა "ეფუთი",
სხვა ყველა მოუკვდა,
"ეფუთის" პირველი შვილია
ბიბლია.

1966



სვეტიცხოვლის სანახებში,
ვითარცა ტყე აქოხრილი,
კელავ ბლავილი დგას
"ცხოვართა".

...არსაკიდე –
მკლავმოჭრილი,
ახლო მოჩანს მაცხოვართან.

1979



უძველესი კოლხების
თქმულებებს¹ და
ლეგენდებს²,
აღარ უჩანთ სამანი,
რადგან მიწისეული სული,
თითქოს არხია.
და სამყაროს პირველი –
არი კოლხი შამანი³.
მთელი კაცობრიობა –
მითებში რომ გახვია.

1976

1,2 – თქმულებები, ლეგენდები, მაგ.: ამირანზე (პრომეთე),
ძუევსზე (ზევსი), ჰერაკლეზე, ჰერკულესზე,
ჰელოსზე, ჰიპერიონზე, აიეტზე, კირკეზე, მედეაზე და სხვა
3 – შამანი – "ევენკის" (ჩინეთის ერთ-ერთი ტომი) ენაზე
ნიშნავს "აზნებულს", "გაშმაგებულს"

პონტოს სანაპიროზე –
მტრის რისხვად მდგარ
კოლხიდას
და ბუმბერაზ კოლხელებს,
თუკი არა მედეას –
ვერაგული დაღატი,
ვერაფერი მოხრიდა!

1969



15 მაისი

მალე ჩემი სამშობლო –
არ იქნება ბედკრული!
15 მაისს, თბილისი,
ჩემს დღეობას გადიხდის,
ვითარც რომი –
მერკურის*.

1989

* მერკური – იუპიტერისა და მაიას შვილი, ბერძენთა
ჰერმესის რომაული ორეული, ფრთიანი შიკრიკი, ღირის
გამომგონებელი, რომლის დღეობას რომში 15 მაისს
იხდიდნენ



მარტყოზი – 1625

ქართველთა ხმლები მუსრავდნენ –
მტრის ბუნაგსა და
სამყოფელს...
და სააკაძის ყიჟინა,
აღბათ, ურუანტლად
უვლიდა
მიწაში
ანტონ მარტყოფელს!

1989



ფრიქსე და იაზონი

კოლხთ ხელმწიფე აიეტს –
გმირობით და ვაჟკაცობით
თავი როცა მიაზომეს!!!
ქონდრისკაცად წარმოჩინდნენ –
ფრიქსეცა და
იაზონიც.

1978



მზის ხარი

მიუყვებოდა შარას აღსავლით,
და მიბღაოდა წყვდიადს
მზის ხარი,
როცა მშობლიურ მიწას დაშორდა.
ნათელი გადმოიღვარა
და მთვარე იშვა
ღამის საშოდან.

1969



ზაზისი

მილიონი წელია,
ზღვისკენ იღტვის ფაზისი
და ცას ასე ჰგონია:
(არაა მოგონილი!)
კოლხეთია – ბაზისი¹:
აქეთ – თეოგონის²,
იქით – კოსმოგონის³.

1963

1 – ბაზისი – (ბერძ) – საფუძველი

2 – თეოგონია (ბერძ) – ღმერთების წარმოშობა

3 – კოსმოგონია (ბერძ) – სამყაროს წარმოშობა



აიეტის კოლხეთმა,
ღამე თეთრად გითია...
შენი აკვნის დამრწვევი –
პონტოს პირას ნაშობი
ლეგენდა და
მითია.

1978



მეცხრე ციდან ჩამოფრენილთ,
ვით წინაპრებს –
მზით მოსილებს,
ქართული ცა –
გხურავს სინდის-ნამუსად
და ამიტომ არ უჩივი მნემოსინეს¹,
არც აპოლონს²,
არც მათ ნაგრამ
ცხრა მუზას.

2011

* 1 – მნემოსინე – (ბერძ) – მეხსიერების ქალღმერთი
2 – აპოლონი (ბერძ) – ხელოვნებისა და
წინასწარმეტყველების ღმერთი, ზევსის შვილი



გამკრთალი ელვის ბილიკით –
მთვარე მოჩანს ფერდობად,
სანამ მთები აღსავლით
გაღიქცევა წყვილიად –
შესციცინებ ნიადაგ:
ცის ერს და
ცის მხედრობას.

1969



მითრა

ვითა ლეგენდებში მითრა¹,
დარჩენილი შენ ხარ ერთი,
სხვა ვინ არის,
აბა, მითხარ?!
ვინც ფარულად დაატარებს –
ქართულ პოეზიის მიტრას².

2012

1 – მითრა – (სპარს) – ცეცხლისა და სინათლის ღვთაება

2 – მიტრა (ბერძ) – უმაღლეს სასულიერო პირთა
თავსარქველი



ისევ “კოლხური ფსალმუნები”

მთიებით ნაწერი მთვარის წიგნი,
შორეული –
ქართული ცის კაბადონზე
გადაშლილია ეფუთივით.

"კოლხური ფსალმუნები"
გრაალია,
მითში და ოქროს საწმისში
შეფუთვნილი.

2012



ევფრატის და ტიგროსის პირს,
ვით ხობოსთან
და ფაზისთან,
მესმის კოლხთა ლაპარაკი,
და ყვავილობს –
ბადითბირა¹,
დუღს ერდუ² და სიფარი³,
შურუფაქი⁴ და
ლარაქი⁵.

1972

1,2,3,4,5 – წარდგენამდელი ქალაქები შუამდინარეთში
(მეხუთე ათასწლეული)



ისევ მოლოდინი

ორი ათასწლეულის

მერე,

იქნებ ცამ ქრისტე

ისევ მოილოდინოს.

და, ვით კვართი ახაროს

ელიოზ მღვდელმთარმა

მხედარ

ყარსნელ ღონგინოზს.

1994



ქიქლებივით ცაში რომ ირევინან,
მირიადი ღამე ნათევია.
ცა შვენით სინათლის
თვალებიანთ,
და განა ისინი მნათებია,
ცის კიდეზე მიწერილი –
მარგინალებია*.

1973

*მარგინალები (ღაო) – წიგნის კიდეზე მოთავსებული
სათაური ან შენიშვნა



ხილვა: ნანა დედოფალი

ვერ აკავებს უჯარმის

ციხე

სპარსთა მოისართ!

კახთა დიდი ლაშქარი –

ვახმე!

როგორ მოისრა!!!

– მესმის ნანა დედოფლის

შავი "სიტყვა გლოვისა".

1989



ხილვა: ბურნაბური და ქაღეშმანი

მძვინვარ ათასწლეულებს

წარღვნა ერთურთს მიაშლის,
ზეციდან რომ დაეშვა.

და... ვჭკვრებ ქარდუნიაშის*

სამეფოს და

მეფეებს –

ბურნაბურს და ქაღეშმანს.

1978

* ქარდუნიაში – ქარდუ – ქაღდე – ქაღდუ – სახელმწიფო
(მეორე ათასწლეული, 1500-1300)



**ხილვა: სიღონია აბიათარის
ასული**

ორი ათასწლეულის
მერეც,
ცხადი მგონია,
რომ ვხედავ სიღონიას –
ასულს აბიათარის,
ვით ბჭობს წმინდან
ნინოზე
ამბავს, მთელი ზამთარი.

1979



რაც ზამთრის სუსხს გადაურჩა,
მწამს,
მოუღებს მარტი ბოლოს,
მაგრამ შენს "მეს" თითს ვერ
ახლებს,
როგორც სიტყვის ტაძრად
დამდგარ
პოეზიის მარტიროლოგს*

2011

*მარტიროლოგი (ბერძ) – საეკლესიო კრებული, რომელშიც
გადმოცემულია ქრისტიანობისთვის წამებული ცხოვრება



ბაღი სემირამიდის

მიღმა ათასწლეულთა –
ედგა კარგი ამინდი
კოლხეთსა და ბაბილონს.
წარსულში კვლავ ყვავილობს
ბაღი სემირამიდის.
ასწლეულებს მიაღწევს
უამი ფაფარაშლილი,
მაგრამ არსად არ მიდის!!!

1969



პაემანი

შენ ხარ მგოსანი

და უფალთან გაქვს

პაემანი!

კოლხური მთვარე, ვითა კითარა,

ხელში გიჭირავს ორფეოსივით

და თხზავ "ფსალმუნებს",

როგორც პეანებს*.

2011

*პეანი – ღმერთების სადიდებელი ჰიმნი



როგორც მეფე აღერკი

საქართველოს ცისქვეშეთს,
მუდამ თავს დასტრიალებ,
როგორც მეფე აღერკი.
რადგან პოეზიაა
შენი თავმისადრეკი.

2014



ვჭერეც ოლიმპოს მაღალ მთას,
მოკვდავთ ცრემლით ნესტიანს.
და იქვე მსხდართ მეფესთან¹,
ჰადეს²,
ჰერმეს³,
ჰეფესტოს⁴,
ჰერმესსა⁵ და ჰესტიანს⁶.

1970

1 – იგულისხმება ზევსი
2,3,4,5,6 – ოლიმპიელი ღმერთები



**ქართული ენა აღსდგა
მკვდრეთიდან**

*"იზრახებოდა ქართლსა შინა ექესი ენა: სომხური, ქართული,
ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული".*

"ქართლის ცხოვრება"

ჯერ არსად ჩანდა მაკედონელის
ლეგიონები ჩვენსკენ მავალი
და ჩვენი ყოფნა ბეწვზე ეკიდა!!!

მერე –

"გამოხდა ამას შინა ჟამი
მრავალი"...

ქართული ენა აღსდგა –
მკვდრეთიდან.

1973


მელია – ტელეფია

შურის შხამიანი ჩანს ისარი,
მაინც ვარსკვლავების
ბილიკებით –
მოდის ისე, ვით ელგია:
"ადრეკალაი" და
"საქმისაი",
და ცისიერი "მელია-ტელეფია".

1966

1,2, – სვანური ფერხულები (XVIII – XVII ს.)

3 – ხათური – ხეთური დვთაება (მეორე ათასწლეული)



ისევ და ისევ კოლხეთი

იქ –

არესის ჭაღაში,

მუხის ტოტზე ეკიდა

მთვარე –

ოქროს საწმისი.

ვიმეორებ ათასჯერ:

(თუმც ამისთვის დამსაჯეს!!!)

კოლხეთია სამყაროს –

საფლავიც და...

საწყისიც!

1978



ქალღმერთი მზე

შორეული –

ქალღმერთი,
ოქროს სხივი მზეს უნათებს...

შენს –

"კოლხური ფსალმუნების"
ცაში უფლის სახილველად,
და ღოცვად მდგარ ზიკურათებს*.

1991

*ზიკურათი – რელიგიური საკულტო გიგანტური კოშკი –
ბაბილონსა და სირიაში



ბობოქარობ...

ზღვის ლურჯ ფსკერზე,
კვლავ დაექვბ ბროლს და
მარჯანს!

პარნასიდან მუზას ელი...

გააღწიე უამთა დარჯაკს,
დარჩი ბავშვი –
უზაკველი.

2014



ნათელს მარადისობის
ისევ ისე ელი და...
გინდა სურო და
დაფნა!
რადგან იგი ხელიდან
"გაგისხლტა",
ვით ადაპას*.

2011

*ადაპა – პირველი ადამიანი



ქალღეველთა მაგია

ათასწლეულებია –

მთელი კაცობრიობა

(თუმცა ჩვენ რას გვარგია!)

ხსნის და ვერ ხსნის შუმერთა

"ოქროს დამწერლობას" და

"ქალღეველთა მაგიას".

2001



მარდუქი

წარსულიდან მოსული,
უამთა ოხერ-ტიალი,
არ გაშინებს ქარბუქი.
თბილისს თავს დასტრიალებ,
ვით ბაბილონს –
მარდუქი*.

2010

*მარდუქი– ბაბილონის პატრონი ღვთაება



წარსულში არა,
მომავალში დააბოტებენ:
შანდორ პეტეფი,
მიცკევიჩი,
ხრისტო ბოტევი.
და შენც იქითკენ იღტვი
ოტებით...

1966



შუმერი და აქადი

ზოგ-ზოგმა "დიდ სწავლულმა"
არც კი იცის აქამდე,
რომ დიდ ქალაქ –
ბაბილონს*,
ერქვა ბაბილონამდე –
"შუმერი და აქადი".

1976

*ბაბილონი – (ეხლანდელი ერაყის ტერიტორია) დააარსეს
შუმერებმა მესამე ათასწლეულში



ორაკული

შორით მტკვარი ჩანს –
ორსული
და თბილისი სიყვარულის
სალ-კლდეებით მორაგველა.
კოლხეთიდან ჩამოსული,
შენ ხარ მისი ორაკული*.

2010

* – ორაკული – მენცარი (მეგრ.), წინასწარმეტყველი



სურს, რომ გასაგისი ამოგიქროს,
ვით ძველ კოლხებს
და მზის ხეთებს.
და სადღაც სიკვდილი კბილს
იღესავს.
მაგრამ ვერაგ ზით მოგიხელთებს,
ქართული პოეზიის
ბაზილევს*.

2012

* – ბაზილევსი (ბერძ) – ჰომეროსის ეპოქაში ტომთა
ბელადი. ზოგ ბერძნულ სახელმწიფოში მეფე



შკვითული*

დედის მხრიდან:

ათასწლეულების ბილიკს,

ხსოვნა ძველებურად ტკეპნის

და ხმა მესმის წინაპართა –

შორეული დიდზე-დიდი:

"სკუა",

"ნანა",

"ბები",

"პეპი",

"ჯამარ",

"შამარი", დო "დი".

მამის მხრიდან:

კოლხურ ცისქვეშ ადათ-წესი

უამთა უღრანს მიკაფავს...

და ძახილი ესმის მზის ყურს:

"სკუა", "მუმა", "ბაბა", "პაპა",

"ჯიმა", "შამა"

დო "იმპუ".

1966

*შკვითული (მეგრ) – შვიდეული, შვიდი თაობის სახელი დედისა და მამის მხრიდან

ცა და მიწარე

ეზოთერიკული ბილიკებით –
ღამეს სინუმეში მოჰყავს ჩხანა
მამლის ყივილმა ვერ გაათენა.

შორით ცა და მიწარე –
ისე ჩანან,
თითქოს ზევს კუძუს აწოვებს
ამალთეა.

1966



ტკბილ-კოლხური ღურჭული

მოვლილი გაქვს სამყაროს
ყველა კუთხე,
კუნჭული.

სად,

ოდეს თუ ისმოდა,
წინაპარ-ორფეოსთა
ტკბილ-კოლხური
ხურჭული*.

1999



*ხურჭული (მეგრ) – სიმღერა, გალობა

კირკე – ნანა – რე კიბელა

(ვარიანტი)

მძინარ ათასწლეულთა

თქმულებებს და

ლეგენდებს,

მიდის და კვლავ მიბელავს...

ისე, როგორც სამება

ერთია და...

(სამია) –

კირკე – ნანა – კიბელა

1978



ემერსონი, უიტმენი

პოეზიის კალოს ლეწენ,
შორით ისმის ხმა "ნადურის",
ვიღაც ყივის:
ბოღმას გუღში ნუ იტენი!
თუ გინახავთ კაცი ქვეყნად უმაღური,
ისე, როგორც ემერსონთან,*
უიტმენი!

1964

*ემერსონმა უიტმენი გაადმურთა მაშინ, როდესაც მის პოეზიას "ნაკელს" უწოდებდნენ, ხოლო უიტმენმა ცოტა ხნის შემდეგ ის მიწასთან გაასწორა!!!



ტომას მორი

ისე, ვით სამშობლოს "მოღალატეს" –
ტომას მორს*,
მორივით თავი რომ მოჰკვეთეს,
ის "ამხნევებდა ჯალათებს"!!!
და შველას არ თხოვდა
მოყვასს და მოკეთეს.

1989

* ტომას მორი – ინგლისელი მწერალი და სახელმწიფო მოღალაქე (1478-1535 წწ.)



ბაბრატონი

ისტორიის შარა – გრძელზე,
ეკ, რამდენი იომა,
მზის ქურუმთა ნაშიერმა
გვარმა...

მერე „ბაგ-ბარ-ტუ-ნმა“
ბოლოს „ბაგრატიონმა“.

1968

* – ბაგ-ბარ-ტუ-ნი – ურარტული ქალ-ღვთაება



**ხილვა: იტალია,
მესამე ათასწლეული**

მეფობს სული კოლხური, –
იბერია¹ – გალური²
და სხვას აღარ ირევენ

(გზებიც გაიიოლეს!)

იტალიის შუა გულში
ვჭვრეტ საბელებს³,
ტირენებს⁴,
პელაზგებს⁵ და იონელთ⁶.

1972

1, 2, 3, 4, 5, 6 – კოლხთა (ქართველთა) მონათესავე ხალხი



პანტოგრამა

კაპარტში ისარჩაწყობილნი,
აღარ შორდებიან ამურები...
მასზე არ მოქმედებს
ავღარი და არც ტაროსი.
შენი (კოლხური ფსალმუნები) –
პანტოგრამა*
სამყაროსი.

1998

* პანტოგრამა (ბერძ.) – ხუთი ხაზი, შუა საუკუნეებში
ამულეტებზე გამოსატული მაგიური წრე.



ტორეტიკს და კერკეტიკს

ზღვას ახსოვს...

და არ ახსოვს

თორსელსა და

ერგეტელს, –

მტერს, ვით ეპყრა ზღვის კარად

ხელთ იმათი ბერკეტი.

და ვით უღეტდა მომხდური –

კოლხთა მონათესავე –

ტორეტებს¹

და კერკეტებს².

1968

1, 2 – აწ გადაშენებული უძველესი ტომები.



ვარსკვლავებით მოჭედილი,
გადაშლილი
ოქროს რუკა გიდევს ღამის
და აღმერთებ შელინგივით¹ –
„ტრასცენდენტურ
იდეალიზმს“.

1969

¹ ფრიდრიხ ვილჰელმ იოზეფ შელინგი – დიდი გერმანელი ფილოსოფოსი.



სოკრატე და ისოკრატე

მეცხრე არა,

მეცხრამეტე,

ცისკენ ისევ მიგაქროლებს

სურვილები –

ქართულ ფრთების

(ჭირია თუ არის ღხინი).

და, ვით ადრე ხშირად თვრები –

სოკრატეს თუ

ისოკრატეს*

დაწურული სიბრძნის ღვინით.

2003

* ისოკრატე – ბერძენი ორატორი, სოკრატეს მსმენელი (ძვ.წ. 436-338)



უზვი, უსხი, უაბი

„არ მომცა ძე, არც ასული“...

დ. გურამიშვილი

ზოგჯერ ცოდავს ბუნებაც,
არ-რას ამბობს,
ღუმს წამი.

კაციც...

და ხეც ცოდვას –

უზვი¹,

უსხი²,

უაბი³,

უნაყოფო⁴ და ურწამი⁵.

2009

1,2,3,4,5 – ბერწი, აზატი, უშვი.

ომების კვამლით თვალებდამწვარმა,
დავიწყებაში მოვლემმა
ხეთებმა,
აღარ იციან,
ან საიდან უნდა იცოდნენ,
რომ დღეს კოლხეთის
დიდი წარსული
ნილოსის პირას –
მოწყენილი დაეხეტება...

1967



ტანკას, ხაკუს და გუნდაის

(გარიანტი)

რადგანაც მზე იქ ამოდის

და არ-რაა გასაკვირი,

რომ სიმწვანე სდევს

მაისის –

საკურას¹ და ჰარაკირის²,

მისიძას³ და მურაკამის⁴.

ტანკას⁵,

ხაკუს⁶

და გუნდაის⁷.

1964

1,2,3,4 – იაპონელი პოეტები

5,6,7 – იაპონური პოეზიის ჟანრები



ძველი რითმის წრიაპებით,
მწვერვალებზე ასვლის მდომთა,
ეხეთქება სული ფლატეს.

რა საქმე აქვთ –
ლექსის ღომთან,
პოეზიის სურიკატებს.

2001



ცალკეები და სასუფრეები

კოლხური ცის ვარსკვლავები
უნათებდნენ გზებს –
შორეულ
მაღალ მთამდე და სერამდე
და ცვიოდა ცას ფერები,
როცა მძვინვარ ზღვებს –
სერავდნენ –
ცალკეები¹ და სასუფრეები².

1969

^{1,2} – კოლხთა (ქართველთა) მონათესავე ტომები



ფაფარაშლილმა ათწლეულებმა –
გადიჭიხინეს ურა ცხენებად...
აღბათ ჩამოკრავს მალე
მიზრაფი!

მე კი დაღლილი,
დასასვენებლად,
მივალ,
მივდივარ,
შინ მივისწრაფი...

2015



ეპიფიზი

სიცოცხლის ხე დგას
დახუნძლული,
რომ არ გათვალონ
მთვარე კიღია,
ვით ცხენის ნალი.
"კოლხური ფსალმუნები" –
არის ეპიფიზი*,
ანუ "სულის სამყოფელი"
ანუ "მესამე თვალი".

2011

*ეპიფიზი" – თავის ტვინის ზედა დანამატი, ანუ "მესამე თვალი"



ქალღველებს ეკუთვნის

თუა სინდის-ნამუსი,

კერს დამიკრავს ათასჯერ
დიდი ნოსტრადამუსი!

(თუმცა ბევრჯერ დამსაჯეს!!!)

რომ ბიბლიაც, ეფუთიც,

არც ბერძნებს,
არც ურიებს

(მათ ბევრჯერ აურიეს!)

ქალღველებს ეკუთვნით!

1971



**ხილვა: “ბაბრატუნები”
(ბაბრათიონები)**

უამი ჩუმად აკნატუნებს –
სემის¹,
ქამის²,
იაფეტის³ –
გაზრდილთ რძით და ერბოთი.
ვჭვრეტ წარსულში “ბაგრატუნებს”,
შთამომავალთ –
ნებროთის⁴.

1972

1,2,3 – ბიბლიური ნოეს შვილები

4 – ნებროთი– ქამის შვილიშვილი



მიღმა ჟამთა სიშორის,
სადაც არ აქვს ჟამს ფსკერი.
ბინადარი კოლხეთის –
სულეებს –
ზვირთებს ატანდნენ...
მერე ხმობდა სასპერი,
სპერში მძინარ ატლანტებს.

1979



შენი ლექსები –
თურმანიძის მაღაშოა –
და არჩენს სულიერ იარაგს,
ცეცხლსა ყრის, ვით სტამბოლის კაუი.
შენი პოეზია,
მიწიერი კი არა,
კოსმიური ალიაქოთია,
ვაჟა!

2015



იღუმალების ხმები ჩაგესმის,
რადგან შენა ხარ
უსასრულობა...
და უსამანო სივრცეს შერთვამდე,
ვითარცა სიბრძნე –
უზენაესი,
უნდა ამაღლდე კაცო! –
ღმერთამდე!

2013



მზის კოცონზე მიინავლა –
საუკუნე ოცეული.
იმკი,
რაც რომ გითესია.
და შენც ისე, ვით მესიას,
პოეზიის "ხელმწიფობა" –
"მაღლიდან" გაქვს
მოცემული.

2009



შორეთს მიმავალი გზა,
ყარობს ვერ შეგაშინებს,
წახვალ და...
ვერ მოასწრებ,
წამით უკან მოხედვას,
როს ეგრის-ძე,
მაშინვე
გადიქცევი კოლხეთად!

2011



მოკვდავთ ლოცვა –
სივრცეს ერთვის,
მეცხრე ცამდე აღის.
ნაპირი კი არის ერთი,
სიზმრისა და
ცხადის.

2010



სამყარო პოლიგლოტია

ვარსკვლავნი ციურ გალობით –
ათასწლეულებს ართობდა...
ვითარცა ადრე წვიმები,
სივრცეებს ეხლაც კორტნიან...
ცამ იცის ენა –
მნათობთა,
სამყარო პოლიგლოტია.

1984



მუსხნი, მოსხნი, მოსინიკი

დედა კოლხეთს ხელს უქნევენ,
დავიწყების გზით მიდიან
და არაფერს იბარებენ:

მუსხნი¹,

მოსხნი²,

მოსინიკი³,

თაბალ⁴ –

თუბალ⁵,

ტიბარები⁶.

1969

1,2,3,4,5,6 – კოლხური (ქართველური ტომები)



ეგრის წყალმა, ქედმა ეგრის

გარდასულ ჟამთა შავი ღრუბლები
დარიალებდნენ კოლხურ მთებს
რისხვით,
ჭექა-ქუხილის იყო მცდელობა.
და მაინც შენ ერთს,
ეგრის წყალმა და
ქედმა ეგრისის,
გიწყალობეს ეგრისელობა.

1986



არიებს და მატინებს

დავიწყებით გადახურულ
ათასეულ წლის –
იქიდან,
ხმას ძლივს გვაწვდენს მატინე
და კოლხად თვლის:

აღაროდებს,
არიებს და
მატინებს.

1967



ადამის ძეგ!

ღმერთი უნდა

ირწმუნო და...

იმარხულო,

ისე, როგორც იობმა.

მხოლოდ რწმენამ მოიყვანა

ღღემდის –

კაცობრიობა.

1970



სანები და ლაზები

პონტოს პირას ჩამომსხდარან,
სადაც ზვირთთა ლაშქარი,
სანაპიროს იკლებენ...
კოლხეთს კვლავ ეზმანება –
სანები¹ და
ზანები²,
წანებ³,
თიანიკები⁴.

1984

1,2,3,4 – კოლხური (ქართველური) ტომები



ჰანიბალის ლაშქრობა

მოხვალ და...

თოფი საბედისწეროდ

სულ უნდა გკონდეს,

როგორც იაშვილს!

ქვეყნად ყველაფერს უნდა

იღბალი,

რადგან ლაშქრობა იტალიაში

ვერ შევაჩერე მე...

ჰანიბალის!

1992



ქოსელი ქალები

გმირთა კოცონს ანთებდნენ,
სადაც რომ იალებდნენ...
და ნურვინ გაიოცებს,
რომ ქართველი ქალები
ადარ ჩამორჩებოდნენ
ქალბატონებს ქოსელთ*.

1979

* ქოსი (საბერძნეთი) – განთქმული იყო "ძველი მსოფლიოს
მამაცი და გონიერი ქალბატონებით".
პლუტარქოსი (ა. წ. I ს.)



განა მარტო ქართველის ცა,
მზით მოსილი სამყარო,
არის შენი სამშობლო,
კაცო! –
ქრისტეს ნათლულო,
ქრისტეს კვართით ნაშობო!

1971



ჯერ ბერძნები არ ჩანან...
და ვჭვრეტ სადღაც,
კუნძულზე –
იმბროსის და ლემნოსის:
ტირინელებს¹,
პელაზგებს²,
ხაღდეს³ მთვართ შემოსილს.

1979

1,2 – კოლხთა (ქართველთა) მონათესავე ხალხი
3 – ხაღდი – ქალდეველთა მთვარის ღვთაება



დაგკარგე!

ვერ ვპოულობ –

„გრაალს“ –

ხასხასას მოღივით...

ცა თავს ისევ მაწონებს –

ვარსკვლავების ფრესკებით.

ფაეტონის ეტლით კი,

ათასჯერ მაქვს

მოვლილი –

ზესკნელ-შუასკნელ-ქვესკნელი.

1966



საღვადორ დალი

(ვარიანტი)

მის „უირაფს“ ცეცხლის რომ
ასდის ალი,
მე ახლა ვასკვნი:
ამ დიდი მხატვრის
მეცა მაქვს ვალი,
რადგანაც იგი იბერია,
იგივე ბასკი,
ბეთქილისა და დალის მოდგმის
საღვადორ დალი.

1964



ორი სურათი

1

სოფლის დელესთან
პირმომდიმარე
და მოჭყუმპალე
ჩანან ბიჭები.

2

აი, ისინი,
სხვა სურათში დგანან
ჭმუნვარედ,
აცვიათ შავი ახალუხები,
ქალამნები და
პაჭიჭები.

1964



ანაკრეონტის ხმა

როს იელვებს ხმები ისნის,
შენს ფიქრებში თვალს
გაახეღს –
ზღვა პონტოს ან მეოტიის
და შორიდან ხმა მოისმის –
დიდი ანაკრეონტის.

1962



პრემია – 100 000

(ხუმრობით)

პოეზია ოცნების მძვინვარ

ოკეანეში –

მოტორტმანე გემია

და მზის ტოტს ჰგავს მობელილს.

მოელიან მგოსნები,

ისე,

ვითა რუსთველის

და ვითარცა ნობელის,

ეგრისელის პრემიას!

2014



ნაბუქოდონოსორი

ფაზისთან და ევფრატთან
ტირის ვაზის ბაბილო
და ცრემლში ვჭვრეტ
ბაბილონს.

ორ „ხალდეს“ და ორ „ხეთას“, –
ლეგენდებით მოქსოვილს!

ორივეს მდგარს კოლხეთთან,
დიდი კოლხი ხელმწიფის –
ნაბუქოდონოსორის*!

1968

* ნაბუქოდონოსორი – ბაბილონის მეფე (ძვ.წ. 1196-1123).



PERSONA GRATA

ორი საუკუნის მერე,
ნეტავი შენც შეგხვედროდა,
ღვთისმოსავი ის „პერსონი“,
ვით ილია,
ბარათაშვილს,
ან უიტმენს –
ემერსონი.

2015



ჰელიკონი

მითებსა და ლეგენდებს,
ათას ზღაპარს დაურთავს
შენი ლექსის ეს სტრიქონი –
ჩე გოლაა¹ და ურთა²
ჩემო,
შენი ჰელიკონი³.

1972

1, 2 – მთები სამეგრელოში

3 – ჰელიკონი – მთა საბერძნეთში, რომელსაც (მითის მიხედვით) ტორი დაარტყა პეგასმა და წყარომ ამოხეთქა.



ძველი კოლხეთი

ახლა სძინავს დაღლილს
და ბევრ ომგადახდილს,
და შენ ჩუმად ეფერები,
ვით დედას და არა ძიძას.
ძეგლს აგიგებს პონტოს პირას
ცამდე აწვიდის,
ძველ კოლხეთმა –
თუ ოდესმე გაიღვიძა.

2014



გზებზე ათსწლეულების,
მზით მწყურვალი,
ცით მშიერი
ბევრი უსახელოდ მოკვდა.
და...

შენ დარჩი ნაშიერი –
ბრძენ ქალღვევლ
ქურუმ-მოგვთა.

2011



იუღა

წარსულიდან ვიღაც კივის:

– სირცხვილით მზეს როგორ
უმზერს,

რადგან ღამის ის ბუდეა!!!

ქრისტეს ცოდვა ადევთ ზურგზე

პილატეს და
იუდეას.

1979



ვარსკვლავები არ ჩანან,
დარჩენილა სამყარო
მარტო „ქაღდეს“ ამარა,
ჰელიოსის იმედით.

თუმც ხმა ისმის ან მარეს:
მეფის კოლხეთ –
ქიმეთის².

1973

- 1 – ქაღდეს – მთვარის დვთაება ბაბილონურ პანთეონში.
2 – ქიმეთი (ვიმეთი) – ეგვიპტის ძველი სახელწოდება.



ქალღვას და ქალაქ ურის

ბაბილონის შენებაში

თავი აღარ დაიბერეს,

უამი ედგათ საამური:

ქალდეველებს

და იბერებს,

ქალღვას და ქალაქ ურის.

1967



პოეზიის ხალენი

უცებ გამოიდარა,

დღე გათენდა ხარების,

ცა – გაბრწყინდა ველისებრ.

და...

შენ ვაჟამ გადმოგიგლო

პოეზიის ხალენი¹,

ვით ელიამ²,

ელისეს³.

1975

1 – ხალენი – მოსასხამი.

2, 3 – წინასწარმეტყველები.



(ვარიანტი)

მარადის ცივი და უკარება
ქარი მოვიდა და
მეთაყვანა!
ზღვას თვალცრემლიანს ექნა
მეტი-რა?!
ბაღლივით ხელში მთხოვა აყვანა,
და...
მერე უკან გამომეტირა...

2009



მნემოსინი

ქალდეველთა ბილიკს მისდევ –
სიყვარულით შემოსილი;
ქართველის ცა გაქვს
ნამუსად.

არ უჩივი მნემოსინის*,
მაგრამ გტანჯავს –
ცხრა მუზა.

2012

* მნემოსინი (ბერძ.) მესსიერების ქალღმერთი, რომელსაც ზევსისაგან შეეძინა ცხრა მუზა.



სიმღერები სირინოზთა

სერაფიმთა აკვანნარწევ
ღმერთკაცს,
სანამ გწყალობს მუზა,
სანამ ძაღგის სშირი ლოცვა!
შენს „ფსალმუნებს“
ვერ-რას უზამს,
სიმღერები სირინოზთა.

2011



ქართული კულტურის დესპანი

ვითარც გალა იტყოდა:

– მარადიულ ბრძოლებში

„იყავ ხმალამართული“!

როს ეწვიე ესპანეთს,

უკვე იყავ ქართული –

შენ –

„კულტურის დესპანი“*.

2013

* 2013 წელს ვაჟა ეგრისელს მიენიჭა „ქართული კულტურის“ დესპანის საპატიო წოდება.



მთვარე –

გრაალის ტაძარი

ცაში ნიადაგ კოსმიური

ქარი...

წვიმა და ხანძარია,

ხეხუბი, მთები და ველებია.

მთვარე –

გრაალის ტაძარია,

ვარსკვლავები – კი

მცველებია.

1964



შუმერებს და აქადელებს

მითები და ლეგენდები,
ვით ნილოსთან და
ევფრატთან,
ძველ ფაზისთან! –
აქაც სდევენ –
ზიკურათთა* აღმშენებელ
შუმერებს და აქადელებს.

1969

* ზიკურათი (აქად) – საფეხურებად აგებული უზარმაზარი
საკულტო კოშკები (მესოპოტამიაში, ბაბილონში,
ასირიაში).



ზღაპრები და იგავები

ერთხელ მოხველ უფლის ნებით
და მეორედ ნუ გსურს
მოსვლა!

(სად აეშვი, იქ დაები!)
კოლხეთს აბრეშუმად
მოსავს –
ზღაპრები და იგავები.

2013



მთვარე შენი კარავი

მირიად წელზე მეტია,
ბიბინებს მნათთა ბაღახი –
ცის ლურჯ მინდორზე
ნორჩივით.

მთვარეა – შენი კარავი!
და ცის ქვეშეთში არ ავის,
მხოლოდ უფლის ხარ
მორჩილი.

2010



ეგვიპტეში

მითებსა და ლეგენდებს –
სამყარო ვერ იტევს
და ამკობს არშიებს.
შევეყრებ ეგვიპტეს,
ვითარცა კოლხეთის
ნაშობს და
ნაშიერს.

1983



პარადიგმა

ფრინველთ მეფის ოგვაჯეში¹,
კვერცხი რომ დევს,
ორბი ყივის
და ბოკვერში ლომი კუთავს!
ვინც რომ იბრძვის,
მარად იგებს.

ცა,

დილით მზეს სანთლად უნთებს
შენს „ფსალმუნთა“

პარადიგმებს².

1994

¹ – ოგვაჯე (მეგრ.) – საბუდარი.

² – პარადიგმა (ბერძ.) – ნიმუში, მაგალითი.

ზოგჯერ,
განა აუგია,
დღეს თუ ღამე აბაცებს,
თუ მკითხველი „დაბრკოლების
ქვას“ ფეხს წაკრავს...
და მერე,
ოდნავ წაიბარბაცებს.

2013



მთვარის მაღალ ტაძართან,
სადაც ტყეა ოცნების,
ძველებიც და
ახლებიც,
ვედრებით თუ ლოცვებით,
უფაღს –
მივეახლებით.

2014



არსთგამრიგემ ნუ ქნას და...
„წყალ-ღვრნით“,
ცეცხლის ქარიშხლით,
სამყარო რომ მოისრას!!!
შენს იგავურ
„ფსალმუნებს“,
გონი შემოინახავს,
ვითარც სოლომონისას.

2012



უტა

„ტა შისკარს მოადგენო თურქნი“.

კ. გამსახურდია

ტაოს კი არა,

„რუსნი“

მცხეთასთან მომდგარან, უტა!

ცხოვრებამ დაკარგა აზრი!!!

და...

ხსოვნა კლარჯის

და ზარზმის –

მიმქრალ ნაღვერდალად ბუუტავ!–

უტა!..

2008



მეცხრე ცაში მეოფი იგი,
ლტოლვას გინელებს
და ამიტომ ცად იურვი –
ლოცვის –
მოოქროვილ „კიბით“
წმინდა ნილოს სინელის.

1978



✽

წიწამური

იგი მოკლეს!!!

ვისაც ლამპრად
სიცოცხლე და სიყვარული,
მიუძღოდა წინ მამულის.
და მას შემდეგ,
რომ თქვას კაცმა,
ქართველთათვის წიწამური,
არის გოლგოთა და
ჯვარცმა.

1989



ცხოვრება –

ბრძოლაა და ყიჟინაა,

მწუხარებაა,

გარდა ღვინის.

ავის მომასწავებელი სირენაა,

ზღვა ხალხში მცურავი –

ბაღდახინის.

1963



ზესკნელში მსხდარი მთიები,
ერთიან უნდა აჰყარო,
რომ ჩაუქროლო შორეულ
ნისლეულში მდგარ ეპოქას!
რადგან,
ვით პოეტს –
სამყარო,
ხელისგაშლად არ გეყოფა!

2015



ვარსკვლავების ჩანს ჭურები

სიყვარულის სადღეგრძელო,
ჩვენს წინაპრებს
ბევრი უსვამთ,
ვარსკვლავების ცარიელი ჩანს ჭურები.
შენ კი მტერთა შესამუსრად,
გმოსავს უფლის
საჭურველი.

2006



ბაბილო

თხმელის ტოტებს მიჰყვება
ცისკენ ვაზის ბაბილო¹,
სურს ეწვიოს ძველ
კოლხეთს,
ეგვიპტეს და ბაბილონს,
საიდანაც ხმა ესმის:
„სქანი გოლუაფირო!²“.

1968

1 – ბაბილო – ყლორტი, ნეკერი, მორჩი, ნაყარი.

2 – „სქანი გოლუაფირო“ (მეგრ.) – შენ შემოგველე.



ვით ყოფნისა და
არ ყოფნის,
ბერი არის მსურველი,
მაგრამ მათ არ იციან,
რომ სხვა არის სიცოცხლის
და სიკვდილის –
სურნელი.

2010



მთვარე არა,
მზეა უფრო,
ჩემო,
შენი –
შოთრეული წინაპარი!
ვარსკვლავების დიდ სიბრძნესთან
მიტომა ხარ წილნაყარი.

2012



ისე, როგორც ბრაალი

ხუთი ათასწლეულის იქით,
ქრისტეს შობამდე,
პონტოს სანაპიროზე –
აცეცხლდი და ააღდი.
და მას შემდეგ,
შენ გრაალის თასს დაეკებ,
ისე, როგორც გრაალი.

2001



მეტეხთან

(ვარიანტი)

როდესაც ჩამოვიქროლე
მთები მცხეთის და
მამკოდის,
გაიხსნა ზეცა დახშული
და მწამს მომესმა
მეტეხთან,
გორგასლის ისრით დაკოდილ –
ხოხობის ფრთების
ტყლაშუნი.

1959



ზამთარია...

და სიყვითლით

მთვარე თითქოს არის ავად.

წარსულს დარდობს ცა – მითანის.

ვარსკვლავების ქვაფენილზე

მავალ „თავადს“,

ხედავს შენი სულის თვალი.

1963



წიგნი – ამირანი

შენს ლექსებს ცეცხლი მეტობს
მეგრული,
მაგრამ სიღინჯე ახლავს რაჭული.
და შენი წიგნი –
„იქმენ ნათელი!“
წიგნი კი არა, ამირანია –
კავკასიონის კლდეს
მიჯაჭვული.

1993



დღეს,

ულმობელი ელვით ნატყორცნი
ნაისრალი კი ვეღარ მოურჩა
და მიმწუხრისას სული
ამოძვრა!

ცას მთვარის ცალი

ძუძუ მოუჩანს,
ვით პონტოს ზღვაში
მზირალ ამორძალს.

1959



ცისქვეშეთში –

ეს ცხოვრება,

შენთვის იყო და

არ იყო!

სულ გარყევდა, როგორც პიზას!!!

შენ,

სიცოცხლემ რაც რომ გიყო,

მეტს,

სიკვდილი რაღას გიზამს.

1983



პირველი ქრისტიანი

(ვარიანტი)

სიშორის ქვაზე აღესილი

სხივთა მახვილით,

ცაში მთიები ჰგვანდნენ მეომრებს.

და მეათასედ მე ვიმეორებ:

- მუდამ მებრძოდა ბედი

ტიალი –

სისხლის დაწრეტა და გაშრობამდე!

ვიყავი კოლხი...

და პირველი –

მე ქრისტიანი,

ჯერ კიდევ როდის...

ქრისტეს შობამდე.

1961

აღბათ ელოდა უამთა მოხელთვას,
აქამდე,
ასე მყოფი უჩინრად,
მივიწყებული ძველი კოლხეთი,
რომელიც ეგრისს
და საქართველოს,
ეგრისელმა რომ გამოუჩინა!

1993



მიღმა ათასწლეულების –
არგოსზე და
კრეტაზე,
ვჭვრეტ: ბერძნები არბევნ –
ქარდავებს და
ქაღდანებს, –
უპირველეს ქაღდეველთ!

1991



ყულევთან –

ტყვეთა გოდება,

ბაზრის ყაყანი სტამბულის...

ხსოვნის შხამ-გესლში

ავლესე!

მამულის ბჭესთან დაბმული,

მით ვიყეფები –

ავ-ლექსებს.

1962



სილადეს და სინარნარეს –
ქართულ სიტყვას –
რა დაუღევეს...
საქართველოს მთა და ბარი –
მისხალ-მისხალ მოიარე:
ყურს უგდებდი ნართაულებს,
იგავებს და
მოიარებს.

1964



ერთი ვარსკვლავი

მიწიდან – ცამდე უფლის ნაკურთხი,
ო, რა შორია დრო და
მანძილი,
ათასჯერ ელვით გასანასკვავი.
ცაში კიაფობს –
ერთი ვარსკვლავი*,
პოეტებს დამით რომ არ აძინებს.

2007

*მსოფლიო ასტრონომთა 2007 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით, როგორც ასტროლატრი პოეტის – ვაჟა ფერისელის სახელი ეწოდა ერთ-ერთ ახალ აღმოჩენილ ვარსკვლავს.



იყო კოლხეთი...

იყო ეგრისი...

მათი გაქრობის იყო მცდელობა!!!

მაგრამ დარეკა საარმა

დილის

და... ეგრისელის –

ეგრისელობამ,

ბევრ პოეტს –

ღამე დაუფრთხო ძილი.

2014



ნეფერტიტს და ტუტანხამონს

მეუფეთა ცისქვეშეთში,
რადგან ჟამი თავის გარდა,
ყოვლის ქცევას –
ტუტად ლამობს,
მაგრამ მაინც ვერრას აკლებს
ნეფერტიტს* და
ტუტანხამონს.

1971

* ეგვიპტის ფარაონი კლხი ნეფერტიტი ფარაონ ტუტანხამონის დედა იყო



ათასწლეულთა ღოცვა და ვედრება –
„კოლხური ფსალმუნებით“
შეფუთნე.

და მერე...

უნდობმა დღეებმაც
დაგინდეს!

ღვთის მადლით,

„საწმისით“,

„ეფუთით“,

შენც შეუერთდი გრაალის რაინდებს.

1994



ვერ აღმოახენ მეორედ ტროას,
დიდო პოეტო,
ამიტომ დროა,
მეცხრე ცის თაღზე შეჰკრა ირალ!
მარცხენა ფეხზე დაიკიდო
ეს დედამიწა
და ეს სამყარო ფლიდი და ბილწი,
სულ ერთიანად
ააყირო...

2001



წუთისოფლის ჩახმახზე –
შემართული სიცოცხლე.
გქონდეს, ვით იარაღი.
სანამ მოვა სიკვდილი
თვალცეცხლა და ახმახი!
უსიკვდილოდ ცხოვრება,
ჩალის ფასად არა ღირს.

2002



ელვის ნაკვერხსლით გზას
მიიკვლევდა
ღამე და...
მთვარის არ ჩანდა გუბე.
მიწას არაფრის არ ჰქონდა განცდა,
მაგრამ შორს,
სადღაც დაეჯახა
ღრუბელი ღრუბელს
და ცას უეცრად ქუხილი წაცდა.

1964



პოეტი

მითებით და ლეგენდებით –
საოცრების აღებს კარებს,
სიცოცხლის და
მზის მთესავი.
ქარიშხლებს და ზღვას აწყნარებს
და ზედ დადის –
ქრისტესავით.

2002



მარდუქის ოქროს ქანდაკება ბაბილონში

ქაღდებმა თავიანთ ღმერთს* –
დაუფასეს ამაგი და...
სულ ოქროთი ჩამოასხეს
ქანდაკება...
ტახტი...
სკამი და
მაგიდა.

1966

* ჰეროდოტეს ცნობით, ექვსმეტრიანი მარდუქის ქანდაკების გარეშე, ოქროს ტახტს, სკამს და მაგიდას 24 ტონა ბაჯაღლო ოქრო მოხმარდა, ხოლო მარდუქის ოქროს ქანდაკება სპარსელებმა წაიღეს და გადაადნეს!!!



მძინარ ათასწლეულებს

ეცა,

გამოაღვიძა,

მერე მტკვერი ადინა...

გონი ჰელიოსის ძეს,

მოსდევს რუსთაველური.

კაცი – არის ნადირი,

პოეტი – ველური.

2000



ასი ავის მსურველი
და არყოფნის მოთავე,
დრო,
ვით მიიმდლოვრება...
ზღვა მწუთხე და მშფოთვარე,
როგორ ჰგავს ჩვენს
ცხოვრებას.

2006



რამები

წელი რვაასი ელოდნენ

აწვევტას და

აშეებას!

აბრმავებდა სამყაროს ელვა

მათი ნაღების.

ტორებს სცემდნენ პარნასის

დიდ მთებს შენი რამები –

ქარცი თეთრონები და

შავრა ბუცევალები.

1998



ქართული სულის კოლიზეუმი

პროფ. ლაურა სორდიას

სირინოზების კი არა,
ხმა ისმის ციურ ვარსკვლავთა
მზისფერი საღამურების,
მიწას რომ ჟრჟოლად უვლიან.

და...

შენი „ფსალმუნები“ კი
ქართული სულის
კოლიზეუმია*.

2001

*კოლიზეუმი (იტალ. ლათ) – კოლოსალური, უზარმაზარი, უსაზღვრო



აჰა,

უკვე მესხედ,
რაც ცამ შენში ინათა,
მოიარე პეგასით –
 ჰიმალაი,
 ანდები,
პარნასი და სინას მთა.

1992



მოკვდავთა სულის საოხად,
ვარაში აღარ იღევა,
ლხინის მარადი მხლებელი.
და გველის სულის მიღევით
„მსაჯული,
მსჯავრის მღებელი“. (ესაია)

1966



„ტაროს არკანები¹ და „იძინი“,

ისევ ისე გამონებს –

მოდგმას დიდ იაფეტთა.

„ბედისწერის დაფებს²“ და

„მე“-ს „ხვთაებრივი კანონებს³“.

1981

- 1- „ტაროს არკანები“ – (ეგვიპტ) – კაბალას სახელი
- 2- „იძინი“ – (ჩინ) – სამყაროს ცვალებადობის წიგნი
- 3- „მე“-ს (შუმ) – „ხვთაებრივი კანონები“



ეკლესიის ზარის რეკვა,
 ჯვარცმულს ღაბღაღად
 გულს ესოდა,
მიტომ ბევრჯერ დაუსტვინეს!!!
მაინც...
 სიძის ხმა ესმოდა,
 ვითა ნეტარ ავგუსტინეს.

1974



საქართველო – აზნაზეთი

„კარგის ქმნის“ მაღლი აღარ ძევს
ქვაზე,
არსად ჩანს სიკეთის
მნახველი,
გამქრალა ისე, ვით კვაზი.
შური და მტრობა კი
თვალებს კვლავ ახელენ!
და... საქართველოს მოწყენილ
ცაზე,
ჰკიდია მთვარე –
დამოკლეს მახვილი.

1992



მტკვარი როცა კრწანისის ველს
ჩაუვლის,
უმატებს სელას,
ღელვასაც და
ბორგვასაც,
რადგან ახსოვს მტერთა გულში
ნადები.
თბილისი კი შესციცინებს
გორგასალს
და ჩაესმის ჩახა-ჩუხი ჩუგლუგთა,
ხათხა-ხუთქი
რვალის მუზარადების.

1966



მხოლოდ ცოცხალს!

ბრძენს უთქვამს,

მკედარს სიკვდილიც

არ ევარობს.

ზე-ცა არის

ჩვენს სულთა,

უსასრულო –

სამყარო.

1983



საწმისი და ბრაალი

შენი ოქროს ფრთებია
„საწმისი“ და
„ბრაალი“.
და... უცებ რომ მოკურცხლო!
სამოთხე –
რა არის?!
არც ჯოჯოხეთია უცხო.

2014



ბერბერები

(ვარიანტი)

ქართველებო! –

თუმც ცოტა ვართ,

მაგრამ მე კი მებევრებით,

რადგან თავზე უკვდავების

ქედი გხურავთ,

რომ აღჟირში ძველ კოლხურად,

კვლავ უქცევენ –

ბერბერები*.

2006


* ბერბერები – კოლხების (ქართველების) ისტორიულად მონათესავე ტომი. 33 მილიონიანი აღჟირის მოსახლეობის თითქმის მესუთედს შეადგენენ, რომლებიც საკუთარი კულტურის დამცავები არიან გაზეთი „ალია“ 2006 წლის 11 აპრილი.

ავუსტინემ და აბრამმა

იელვა და „საღმრთო ნისლმა“,
ურწმუნონი შიშისაგან
დააბრმავა.

და... „უშრეტი ნათლის“
სვეტი,
მეც ვიხილე,
ვითარც მოსემ,
გედეონმა,
ავუსტინემ და აბრამმა.

1966



პონტოს ზღვით ამოფრქვეული,
აფრიკასა თუ არქტიკას,
არ იცი სად ირიცხები.
შენი გონი სად თარეშობს...
შენი „ციური ნადავლი“ –
უშქარი,
უანგარიშო,
არ ძალუძს მათემატიკას,
მოაწესრიგოს რიცხვებით.

1972



შუმერ-ქალღვრების

ადამის ძის ნაშიერთ –

ერთმანეთი უყვარდათ!

(ახლა ერთურთს არ ყვარობს!!!)

აღსაგლიდან – დასაგლით,

მაშრიყიდან – მალრიბით,

მთებითა და ველებით –

ერთი იყო სამყარო,

შუმერ-ქალღვრების.

1973



სადღაც დავიწყებაში –
მძინარ ათასწლეულთა
ხსოვნის კარებს შენ ადებ!

შენ –
კოლხეთში დაეძებ
უფლის ბაღს და
მებაღეს.

2011



ისე, ვითა მაცხოვარი
აიწიე და ამადღდი –
მიწით-ცამდე!
მწამებლებთან არა,
„წილი“ არ იყარო!
იმათ გულის გასახეთქად,
კიდევ სცადე,
რომ სამყარო ჯოჯოხეთით,
სამოთხეში გაიყვანო!

2012



ეგრისელის ვარსკვლავი

სმამ დიდებულმა და
გამეყვარმა,
დავიწყებიდან კვლავ გამოიხმო,
„კოლხთა“ მრავალი ათასწლეული.
და... ეგრისელის –
ცაში მბრწყინავმა
„ვარსკვლავმა“ –
დაბლა დედამიწაზე,
ძილი დაუფრთხო –
შურით სნეულებს.

2007



ადამის ძეს უხდება,
უფლის ნათლით შემოსვა,
როგორც ქრისტეს ნათლული
უნდა იყოს მენცარი
და წუხდეს სიმარტოვეს.
რა ფასი აქვს შენს მოსვლას,
თუკი აღარ შეცვალე
და სამყარო რაც იყო,
ისეთივე დატოვე!

1996



ტყვიის ექო

ლორკას მკვლელი ტყვიის ექო –
ზვირთად მიაქვს გვადალკივირს
და აწყდება მადრიდსა და
გვადალასარს;
მთელ ესპანეთს გადაჰკივის...
მერე მიღეთს –
გადალასავს.

1983



სულის ფრთებით ვინც მიწვდა
და ნათელი იხილა
(დუმს და აღარ საუბრობს)
სწორედ იმან შეიცნო,
გონი ჭეშმარიტების
და ზე-ცათა
საუფლო.

2001



მეხი ხანდისხან ხმას დაიბოხებს,
მაგრამ ჩურჩული არ ისმის
ღრუბლის.

და სიურცეები ჰგვანან ზმანებას.

ცა – ვარსკვლავებით
მოჭედელი –

ტახტია უფლის
და უამს ცისკრისას მოელიან
მის მობრძანებას.

1961



სალამურად ჩაგესმება

გვიან...

მიმწუხრისას როცა –

ხმები მედინის და მექის,

წამს,

ზე-აგამაღლებს ლოცვა,

ვედრება კი ზეცად შეგქმნის.

1979



რაშოვდა

*„ჩვენისთანა ბედნიერი,
განა არის სადმე ერი?!”*

ილია

თავზე ათასწლეულები

გვაწვიმდა და

გვათოვდა...

მაინც გუშინდელს ვუმღერით!!!

რაშოვდა!

გვყავდა ერთადერთი „შუმერი*“,

ისიც ვერ ვიგუეთ და

გაგვშორდა...

„დელი, კოდე, ლივო დილა, რაშოვდა“.

2005

*„შუმერი“ – იგულისხმება საქართველოს სახალხო არტისტი, შუმეროლოგი ზურაბ ქაფიანიძე

სულ სხვა არის ჩემი ცა,
სადაცა მაქვს ჩაფლული
ღვინითა და ღოცვებით
სავსე მნათთა ლაგვანი,
ამიტომ თქვენ –
„ქვენა ხართ,
მე კი ზენათაგანი“. (იოანე).

1977



ზღვა და ხმელეთი

როცა კოცნა მოუნდომა,

სიყვარულით ხელი ჰკრა და...

ახლა მისკენ იწვდის ხელებს.

-შეხე,

როგორ ჰყვარებიან

ერთმანეთი ზღვას და ხმელეთს.

1963



ექა, ქვეყანავ ღაზებ-ჭანების

ერთხელ კი არა,

ღამის ათასჯერ,

გაღაიგრგვინა ჩვენს თავზე მეხმა!!!

ექა, ქვეყანავ ღაზებ-ჭანების
ჩემი იყავი,

სხვისი ხარ ეხლა!!!

რაღა ვქნა..

მაინც –

მე შორიდან მეღამაზები.

1964



პონტოს სანაპიროზე –
რემას ათასწლეულთა,
ისევ ისე მოდენი:
ერთადერთი რაინდი,
კოლხთა „ოქროს საწმისის“
და „გრაღის ორდენის“.

2014



სხვა ყველაფერს...

მაგრამ მე,

სიკვდილს ვერ მოვერევი.

აღარ მინდა სამოთხე

და არც სულის ცხონება!

ოღონდაც შენ აყვავდი...

განაცვალებს ორივეს –

ამა და იმ ქვეყნიურ –

ღვთის ნაბოძებ ცხოვრებას.

2009



დღე-ნიადაგ მიგელის
უცხო ჰორიზონტები,
მეცამეტე ცის იქით –
ისევ ცაა – კოსმიური,
და კომეტებს სრბოლაში –
აღბათ გადაამეტე!
დღიდან გამოქცეული,
ღამის იქით იურვი...
შიში უდგათ თვალებში
სადღაც,
უცხო პლანეტებს.

1983



სადღაც,

ცივ სიშორეში,

რეკს სიჩუმეც,

ტაშიცა.

შენ კი, როგორც ლაობი,

ისევ ისე დაეძებ

ღმერთში ღმერთს და

ცაში ცას.

2001



მჭახე ხმები მოისმის –
ცისქვეშ დამის მთეველთა!
შენ კი ბნელით მოსილი,
შორის –
ფარისეველთა,
ზიხარ გნოსტიკოსივით*.

2012

*გნოსეოლოგია (ბერძ) – ცოდნა და მოძღვრება,
შემეცნების თეორია



აქაც და იქაც...

რადგან ყოფნა არის ორგვარი!

უნდა ავწიოთ წიგნი,

როგორც შესანდობარი –

გადავიწყების ნისლით დანისლულ

ბრძენის,

პოეტის და

მწიგნობარის.

1994



ნათლის ბნელში აღმართულან –
სიხარულის მწვერვალები
და შენ ყოფნას გაადვილებს,
წარსულ დღეთა მღელვარება,
ოცნება და
სინამდვილე!

2014



ჰომეროს და ჰელიოსს

აქ –

კოლხური „კირბები,

იქ – ინდური „ვედები“,

ორივე ქალდეველებთა

ღობე-ყორეს ედება.

და შენც იმ გზით მიდიხარ...

(თითქოს მზე დაგელოს!)

რა გზებითაც უვლიათ,

იმ „უნივთო ნათელში“,

ჰომეროსს და

ჰელიოსს.

1979



სხვა პლანეტიდან შემოპარული

აქ,

სხვა ქარები ქრიან

ფარული...

აქედან მზეც და მთვარეც ახლოა,

ცა –

ვარსკვლავებით შემოსარული –

მარადიული –

შენი მკვიდრი სამოსახლოა.

1967



5 700

ხუთი ათას შვიდასის,
ძველ წელთა აღრიცხვით,
ბაბილონის დანგრევას
ჯერ პირი არ უჩანს!!!
...ლაზარეს აღდგინებას ველი მწირი,
რადგან ადამი –
წარღვნას გადაურჩა,
„ქართულითა ენითა უამი შეიწირვის“.

1974



მზის დანატოვარი

ზე-ცაა

საჰარა...

და მთვარე ჰკიდია უტარო,

ვით თოხი ოყიანი.

შენი „ფსალმუნები“ –

ზღვა არა,

არის ოკეანე.

1998



ვით მოვარე და მთიები,
ჩემი წილი მზეც მიხდა –
სადარღო და
საოხი.

და... მომესმის ზეციდან –
„მე ვარ ანი და
ოხი“.

1966



კასტელიც და ლამბერტიც

აიეტის კოლხეთში

ცხოვრობდნენ და...

დაბერდნენ...

და მათ სიტყვას უამთასვლის

ბინდიც ვედარ ანელებს...

„აფხაზთ“, –

ქართველობაზე

წერს: კასტელიც¹,

ლამბერტიც²,

ჯონ ჯუზეპე დუდიჩე –

იგივე –

მიდიანელი³.

1979

1, 2, 3 – იტალიელი მისიონერები.

მთავარ ანგელოზი მიქაელ
 ჰფარველობთ...
 ამიტომ სიკვდილი,
აღარ ჰგონიათ საშინელი.
 მათ არც სწყურიათ
 და არც შიათ!

ხარობენ, –
 რომ მეცხრე ცაშია,
 ადამის ძეთა საფშვინელი.

2013



ქაღდესი და ამონის

გვიან...

მაინც გაიხსნა,

ცხრა ცის –

ცხრავე კარიბჭე.

ხსოვნამ შემოგანათა

ქაღდესი¹ და

ამონის².

ღმერთმა შენ მოგანიჭა –

ქრისტეს რწმენა და

გონი.

1973

1 – ქაღდე – მოვარის ღვთაება ბაბილონის პანთეონში.

2 – ამონი – ძველ ეგვიპტელთა ღვთაება (ძვ.წ. XXI ს.)



ურწმუნოთა ქვენიდან –
 ღამეულ გზით მოსული;
 ვითარც სირინოზები,
ოქროსფერ ქნარს არხევდნენ
და ღვთის ჭერს გარიდებდნენ!
 მაინც მთაზე ქორიბის,
 ილოცე და ახვედი –
კიბით ჭეშმარიტების.

1977



შუა ღამის ცივ სიჩუმეში,
კვლავ გავარდა სადღაც
ფილთა!
შეკრთა ტყე და წიფლის მორჩი¹
კენესა ისმის დოფაჩილთან²
ტყაშმაფას³ და
ონოკონის⁴.

1960

- 1 – მორჩი – ყლორტი, ნეკერი.
2 – დოფაჩილი – დეღე სამეგრელოში.
3 – ტყაშმაფა (მეგრ.) – ტყის დედოფალი.
4 – ონოკონი (მეგრ.) – ტყის კაცი.



შენ,

„კოლხური ფსალმუნები“ –

იქ – იმღერე...

აქ – ილექსე...

უამიც გქონდა საკმარისი,

მაგრამ მაინც გელანდება –

გმირთა-გმირი აქილევსის

ფარი...

ქუსლი...

და პარისი!

2014



ეტანა

გსურდა დედამიწა რომ
კუზიანი მთებით და
გულქვა ოკეანებით –
ცაში რომ აგეტანა!
და გეცხოვრა ნეტარად –
იქ,
ისე ვით „ეტანას“*.

1968

* ეტანა – აქალღური ლეგენდის გმირი.



ფიქრი ტრანსცენდენტური
გმოსავს კაცობრიობის...
საღღაც,
უცხო სფეროზე
მთვარესავით ეული –
მიგაქანებს იოგის –
სულიერი სხეული.

2010



ფარღის მიღმა

წარსულიდან მონაქროლი –
ლეგენდების ქრის არაგი*,
ღამე იხდის მთვარის ნიღაბს.
შენ ერთი ჭკვრეტ!
სხვა არაეინ,
თუ რა ხდება „ფარღის მიღმა“.

1962

* არაგი – სამხრეთის ქარი.



ბერძნულსა და რომაულ მითს,
ძველ კოლხეთში უდგას ფესვი!
ისტორიის ჯუნგლებიდან –
რომულის და
რემის გამზრდელ
მგლის ყმუილი
ისევ მესმის.

1969



სადღაც,
ხსოვნის სკივრში მძინარ,
ფარულ თქმებს და
გამოცანებს
(რაც ვიფიქრე და ვიაზრე).
იგავების –
სიმს გაეუბამ
და დაგუკრავ კოლხურ ქნარზე.

1969



1992

მოსარკულ ცაში გავარდა მეხი,
ცეცხლში იწვოდა სოხუმი,
გაგრა –

მიღმა,
თითქოს და ღამეულ ფარდის.
და... მე, სიზმარი მეგონა,
მაგრამ,
თურმე ყოფილა ყოველი ცხადი!

1992



ბაღი სემირამიდის

წუთისოფლის შარაზე –

მზე და მთვარე შებმული
დრო მიჰქროდა...

მოჰქროდა...

იღვა კარგი ამინდი.

და ჰყვოდა ოქროსფრად:

კოლხეთს –

ბაღი მედეას,

ქიმეთს* – სემირამიდის.

1971

* ქიმეთი – კვვიპტე.



ადამის ძის გვარ-ტომი,
ერთად უნდა ავეარო!!!
რადგან დედამიწაზე,
არავინ ჰყავს პატრონი,
ობოლია –
სამყარო.

1966



ჩქარა კი არა,

ნელა მივდივარ,

ო, ალბათ, ჩემო,

იქაც რიგია!

ვმღერივარ!

ვბაძავ გედის გუნებას!

მაგრამ ვერაფრით ვერ

გამიგია,

ზღვა ზვირთთა მუშტებს

რატომ მიღერებს,

და ასე, რატომ მედიდგულება!

1966



მზის ღმერთის –
 ჰელიოსის ნაშიერი,
 მომავლისკენ მზით ვიურვი –
მამულო! –
 მოგესაღმუნები...
 შორეული და
 ბიბლიური –
ეს შენ ხარ – „კოლხური ფსალმუნები“.

1992



ლაკანი და ღერიდა

ფიქრთა ხელებს გიქნევევ

ლაკანი და

ღერიდა,

რადგან შენი გზაწვრილი,

„რეალობის“ სუსხიან

ნათელს არ მოერიდა.

1992



ცანი ცათანი

ლოცვით „ცანი ცათანი“

ერთადერთხელ ვიხილე
და ავტეხე „ხმაური“.

და ამისთვის დამსაჯეს!!!

ვიმეორებ ათასჯერ:

სხვაა –

ცა იქაური.

1964



გზებზე ათასწლეულთა,
ბევრ მეფეს და
ფარაონს,
კარები მიხურვია!
მაგრამ ღმერთი წყალობდა –
ქაშქების* დიდ ხელმწიფეს –
თიფილი ფიხუნიას.

1973

*ქაშქები – კოლხთა წინაპარი ტომები (ძვ. წ. XV ს.)



ხობოს – ენგურ – ფაზისი

კოლხეთს სიმაღ გაუბამს:
ხობოს – ენგურ –
ფაზისი
და ზედ უკრავს თქმულებებს,
მითებსა და
ლეგენდებს –
ხმებით ულამაზესით.

1964



დიდმა გვარმა ქასქების,
ოთხი ათასწლეულის
წინ ინათა,
ილაძპრა.

მერე უამმა არია!!!

ახლა კოლხთა წინაპართ
ეუხმობ: „ცითახარიას¹“,
„თიფიას²“ და
„სარიას³“.

1983

1,2,3 – მათი ტოპონიმოკა ასახულია ხეთურ ლურსმულ
წარწერებში: „აშხარბარი“, „ქათხარია“, „შუხურია“,
„ციხარცია“ და ა. შ. (ძვ. წ. XV ს.)



გაბრიელა და ფედერიკი

უევარდათ ჟამი „ნამინისტრალი“,
ძლიერი,
და განა უძღური.
და იყო პოეტი ორივე მისტრალი –
გაბრიელა¹ და
ფრედერიკი²,
ავტორი „ტკივილის“
და „ოქროს კუნძულის“.

1965

1 – გაბრიელ მისტრალი (აშშ) 1889 – 1957 წწ.

2 – ფრედერიკ მისტრალი – (1830 – 1914) ნობელის პრემიის
ლაურეატი



ატლანტიდა

სამყაროს ცა თურმე,
წამს ჩამოლუსკემდა,
და მდინარეები უეცრად აღიდნენ...
კოლხთა საცხოვრისი ყოფილა
ატლანტიდა
და ქვესკნელს ჩასულა!!!
როდის და ან როგორ,
არ იცის არავინ!!!

1967



ხეთა*

შოორეული წარსულიდან –
შარი-შური მესმის ხეთა...
არც ურთა ჩანს,
არც დარჩელი.
ხსოვნის ფსკერზე ვხედავ ხეთას,
შვიდი ათასწლეულის წინ,
წარღვნას –
ბედად გადარჩენილს.

1960

*ხეთა – პრეისტორიული სოფელი ხობის რაიონში



მოსვლის დღიდან ნეტარნი –
ზე-ცას შესციცინებენ...
შორეული მზის ცეცხლის
ალი ჩუმად ედებათ...
ფიქრით სადღაც ილტვიან –
მცირენიც და დიდებიც.
მაგრამ შენ, ვით მიწიერს,
უფრო გეიმედება –
უფლის რწმენით მოსილი
ცისიერი დიდების.

2011



შვიდი მილიარდი ტაძრის

მარადიულ სიხუმეში,

სანამ ამაღლდები ბორცვად

და დაკარგავს ყოფნას აზრი,

მანამ ისმენ –

მზიან ლოცვას –

შვიდი მილიარდი ტაძრის.

1979



აქილევსს და ოდისევსს

მთელი ღამე წევდიადში,
სადღაც აღმოსავლეთით,
ისევ ისე მოდის მზე,
მოაქვს სხივთა თავთავი.
და გახსენებს გმირთა-გმირს:
აქილევსს და
ოდისევსს,
ტარიელს და ავთანდილს.

1970



ქელები

მტკვრის პირ უღვთოდ დარჩენილნი,
დარდიანი ჩანს ქელები –
არმაზ ხევის და
ზედაზნის.

სულის თვალი იხედება –
მათში უფლის და
დედა-ძის.

1977



პმ. ჟ. IV საუკუნე

პონტოს¹ ზღვიდან –

ჯურჯანამდე²,

სულ კოლხები ირევიან...

საუკუნე საუკუნეს,

მახვილით და ცეცხლით მისდევს.

აღმოსავლეთ-დასავლეთი

იწოდება „იბერიად“,

ჯერ ქართველთა რწმენის ცაზე

არც „ქართლი“ ჩანს

და არც ქრისტე!

1965

1 – პონტო – შავი ზღვა

2 – ჯურჯანი – კასპიის ზღვა

3 – „იბერია“ – „იყო დრო ქრისტეს დაბადებამდე, როდესაც დასავლეთის იბერები ბატონობდნენ აღმოსავლეთის ნათესავეებზე და ამიტომ დაერქვა აღმოსავლეთ საქართველოს „იბერია“.

ექვთიმე თაყაიშვილი

მძინარ ათასწლეულებს,
კიდევ ერთხელ შეანჯღრევ!..
კოლხთა დიდი წარსული
ბნელში ვეღარ შეჭმუჭნეს! –
რადგან შენი ხმა ესმათ! –
ქართულ სიტყვის –
მეაბჯრევ,
მესვეტევ და მეჭურჭლევ!

2014



ზეცას მზისგან მიტოვებულს,
სანთლებს უნთებს დამით
მთვარე,
ამურს ეჭვი მუდამ ღრღნიდა,
კეთილს ეშმა უთვალთვალებს,
ბოროტების –
უღრანიდან.

2010



მთეპი, ძედეპი, მწვერვალები

მადლებია და ღრუბლებში,
მწვერვალებს უხდებათ შინიღმა.
ყინჩად იმზირებიან ქედები!!!
მთებს კი უხარიათ –
შენი ხმა,
მიწას რომ ბალახივით ედება.

2015



1993

ახლა შავები გაცვია,
მაგრამ ზამთარი გაივლის
და მწვანედ შეიმოსები,
მამულო! –
როგორც გჩვევია!

!!!

აფსუები და ოსები,
რა ცუდად შემოგჩვევია!!!

1993



კაცს ღვთისნიერს და
ღვთისმოსავს,
ცხოვრება გექცა „კატორღად“!!!
გზა მიუყვები დაღლილი...
სიკვდილზე ფიქრი
რატომღაც,
უკან კვლავ მოგდევს ძაღლივით.

1983



ენქი, ბიბილი და ერღუქი

შორს,

სადღაც ღამეულ წყვილად ში,
უნთიათ ფთილა თუ პატრუქი
და კოლხთა წარსულიდან
გვითვალთვალებს:

ენქი¹,

გიბილი² და მარდუქი³,
შვიდი ბრძენი ე. ი. „შვიდი აფქალი“⁴.

1989

¹ – ენქი – ბაბილონის ღვთაება
^{2,3,4} – ენქის შვილები



ეპოქის სუნთქვა და გულისცემა,
იგრძენი ისე,
ვით უნდა გეგრძნო.
ცას შვენის ცისარტყელას ხიდები...
არც ისე შორსაა დიდება,
იქამდე მისვლა რომ
ვეღარ შეძლო!

1989



იუდეველთ ცოდვა აბევთ;
აღთქმულ ქვეყნის
პირველ მკვიდრთა,
მთების და ველების –
ხივიელთა,
გირგიშელთა,
ქანნა,
ფერიზელების.

1978



ბაბილონი ძვ. წ. V ს.

ნაბუქოდოს ნაშიერთ,
ბრალი უძღვით ამაში,
რომ დრო დღეებს არ ითვლის.
რომ ორ მეფე –
მამა-შვილს –
სოლომონს და დავითის –
უამი უდგათ არყოფნის!

1979



ჩე გოლას¹ და მთას ლაკადის²,
ჩამავალი მზე დაცქერის,
მოწყენილი, როგორც ქრისტე,
სანამ მიწა ადამის ძის –
ჩაჭრილ საფლავს
მსხვილ ლაკარტი³,
ამოკერ –
ამოაგვირისტებს.

1983

^{1,2} – აღგილება მთიან სამეგრელოში

³ – ლაკარტი (მეგრ) – ერთგვარი ბალახი



ღამის იქიდან გადმოსულები –
გაიელვებენ მეტეორები
და თვითმკვლევლობით
გულს იოხებენ...

ეშინიათ და ჭრაქებს
ანთებენ –

წყვილადში მდგარი მნათთა
ქოხები.

1968



ხასანა – სამარა

როს ძვირად ფასობდა
ლეღვის ხის ფოთლები,
რომ იყო სამყარო
„შავი ქვის“ ამარა,
ო, მაშინ კოლხებმა და
ქაღდეველებმა,
ხალხს მისცეს კულტურა –
„ხასანა – სამარა“*.

1989

*ძვ.წ. VI ათასწლეული



ის „თანაარსი მამის“,
ჩუმად „გარდმოხდა ზეციით“
და ჩვენთვის ჯვარზე ეცვა!
დახვდა სამყარო ბეცი
და...
კვლავ ამაღლდა ზეცად.

1976



ღრუბელი ღრუბელს ეღვით აშინებს,
ამდაგვარი ცის –
არ ხარ მნახველი,
თუმცა ზესკნელი ფიქრის ეტლით
სულ გაქვს დავლილი...
ქუხილი არა,
დამეს ახველებს,
ნალევა მთვარე გახირვია
ყელში ძვალივით.

1970



შენს ცის ჭერზე ჰკილია,
შურის ქვაზე ნალესი
„ის“ – მახვილი დამოკლეს!
ვიღაც კივის, პოეტო! –
სიკვდილამდე –
არ მოკვდე.

2011



თაყალმისანი რბიან დღეები,
თითქოს ლაშქარი არის სპარსთა
ანდა მონგოლთა,
რომლებიც ადრე მზეს გტაცებდნენ,
რწმენით გაარცვავდნენ.
შენ,

ვითარც პოეტს გელის
გოლგოთა,

იყუბე!–

ცოტა დაგრჩა ჯვარცმამდე.

1973



შენი სიტყვის ჰუნეთა –
გზას გასცქერი
გათელილს –
ცისკენ ხელაპყრობილი.
რადგან შენ ხარ
ნათელი,
ღამისაგან შობილი.

1986



მუხლმოყრილები მოელიან ხატებას
უფლის,

არავინ უწყის თუ რამდენ ხანს
მოუწევთ მოცდა.

მლოცველებს ჩუმად ეპარებათ
მიმწუხრის ბინდი.

ვიღაც ჩურჩულებს:

სულყველა გზა,

ვითარცა ღოცვა,

რომში კი არა,

უფალთან მიდის!

1973



გამთენიისას ღამის ბილიკით,
მოვიდა თოვლი –
თავწაკრული თეთრი თავშალით.

და...

შავ მიწაზე –
ყველა ცოდვის კვალი
წაშალა.

1969



მტკვრის მღვრიე ზვირთები –
მეტეხის ციხესთან
ჩერდებიან და იწყებენ
ფოთიან...
და თავს გორგასაღს ატოლებენ!!!
კრწანისის ველს კი ყაყაჩოებით –
სახე და ტანი ისე
დაფოთლია,
თითქოს წუხელის სტუმრებია
წითელი ბატონები.

1963



გმირი და პოეტი

აჰა,

გასულა წელი ათასი,
და მაინც ისმის გმინვა,

გნიასი –

დიდგორის...

მარტყოფის...

და მარაბდისა!

კრწანისს კი ალა ელანდება

და ძილში კრთება.

გმირი და პოეტი როდესაც კედება,

ის იბადება –

მარადისად...

1973



უძველეს კოლხურ ცას მოწყვეტილი –
სიტყვა სპეტაკი და
ხელუხლები,
ვითა ვარსკვლავი ისე ციმციმებს,
და... ათასობით ღექსის სიმძიმეს,
როგორ უძლებენ შენი
მუხლები*?!

2002

P. S. *სად-საღამათი პოეტი იწვა და ისე მუხლებზე იწერდა
ათასობით ღექსს, რომელთა „მწოლიარე ღექსები“ უწოდა



თუმც წამით,
მაგრამ უფლის ნაბოძებ
სიცოცხლეს მკლავზე რომ
აიცრიან,
მერე ხვდებიან ეჭვით სნეული.
უფლის შვილებმა –
აღარ იციან,
თავიანთ თავში მხეცი რომ ჰყავთ
გამომწვევდელი.

2004



ხარ პოეტი ქარაზმული

მოსვლის დღიდან შენ უსმენდი –

წვიმის ტირილს,

ქარის ზმუილს!

მამულს მტერი დაუმარცხე.

ხარ პოეტი ქარაზმული,

რადგან ხედავ ბევრში

ცოტას,

და ცოტაში აურაცხელს...

1990



მესხეთის ცაზე,
ახლოს ხერთვისთან,
ვით ოპიზართა ხელით
ნაჭკედი –
მთვარე ეკიდა ხატად გაშლილი.
და ღამეს მწიფე ვარსკვლავები
კი,
მოესხა ოხრად,
პანტა ვაშლივით.

1969



ეჰა,

რამდენი ათასწლეული,

სადღაც წასულა ჩუმი თარეშით.

მე,

კი,

კოლხეთით მთვრალს და

გალეშილს,

ფაზისის პირას, ტყეში კედრების,

ისევე მომესმის ლოცვა,

ვედრება, –

ველურ ენქიდუს და

გილგამეშის.

1966



ვითა საღმრთო წერილები,
ნაწერია სული წმინდის,
ყველა,
შენი წიგნები.
მიტომაა უშქარ მრევლში –
გზას რომ ძნელად
იგნებენ.

1979



სარჩევი

ენგური.....25

*** (თემც პოეტების არის მრავლობა)...26

*** (მიყვარხარ!).....27

*** (სცილას გამოეპარე!).....28

*** (წყარო ამოჩუხუხდა)29

ბაბილონის გოდოლი30

„ეფუთი“, „ბიბლია“31

*** (სვეტიცხოვლის სანახებში)32

*** (უძველესი კოლხების).....33

*** (პონტოს სანაპიროზე).....34

15 მაისი.....35

მარტყოფი – 162536

ფრიქსე და იაზონი37

მზის ხარი.....38

ფაზისი39

*** (აიეტის კოლხეთმა)40

*** (მეცხრე ციდან ჩამოფრენილთ).....41

*** (გამკრთალი ელვის ბილიკით)42

მითრა43

ისევ „კოლხური ფსალმუნები“	44
*** (ეფვრატის და ტიგროსის პირს)	45
ისევ მოლოდინი	46
*** (ქინქლებივით ცაში რომ ირევიან) ...	47
ხილვა: ნანა დედოფალი	48
ხილვა: ბურნაბური და ქადეშმანი.....	49
ხილვა: სიდონია აბიათარის ასული.....	50
*** (რაც ზამთრის სუსხს გადაურჩა).....	51
ბალი სემირამიდის.....	52
პაემანი.....	53
როგორც მეფე ადერკი.....	54
*** (ვჭკვრეც ოლიმპოს მაღალ მთას)	55
ქართული ენა აღსდგა მკვდრეთიდან.....	56
მელია – ტელეფია	57
ისევ და ისევ კოლხეთი.....	58
ქალდეური მზე.....	59
*** (ბობოქარობ...).....	60
*** (ნათელს მარადისობის).....	61
ქალდეველთა მაგია.....	62
მარდუქი	63
*** (წარსულში არა).....	64

შუმერი და აქადი.....	65
ორაკული.....	66
*** (სურს, რომ გასაგისი ამოგიქროს)...	67
შკვითული.....	68
ცა და მთვარე.....	69
ტკბილ-კოლხური ღურჭული.....	70
კირკე – ნანა – რეა-კიბელა.....	71
ემერსონი, უიტმენი.....	72
ტომას მორი	73
ბაგრატიონი.....	74
ხილვა: იტალია, მესამე ათასწლეული ..	75
პანტოგრამა	76
ტორეტებს და კერკეტებს	77
*** (ვარსკვლავებით მოჭედილი).....	78
სოკრატე და ისოკრატე	79
უზვი, უსხი, უაბი	80
*** (ომების კვამლით თვალეზდა- მწვარმა).....	81
ტანკას, ხაკუს და გუნდაის.....	82
*** (ძველი რითმის წრიაპებით)	83
ცაღპები და სასპერები.....	84

*** (ფაფარაშლილმა ათას-
 წლელემა) 85
 ეპიფიზი 86
 ქაღღეველებს ეკუთვნის 87
 ხილვა: „ბაგრატუნები“
 (ბაგრატიონები)..... 88

*** (მიღმა უამთა სიშორის) 89
 *** (შენი ლექსები)..... 90
 *** (იდუმალების ხმები ჩაგესმის) 91
 *** (მზის კოცონზე მიინავლა) 92
 *** (შორეთს მიმავალი გზა) 93
 *** (მოკვდავთ ღოცვა) 94
 სამყარო პოლიგლოტია..... 95
 მუსხნი, მოსხნი, მოსინიკი..... 96
 ეგრის წყალმა და ქედმა ეგრის..... 97
 არიებს და მატყენებს..... 98
 *** (ადამის ძევი)..... 99
 სანები და ღაზები..... 100
 ჰანიბალის ღაშქრობა..... 101
 ქიოსელი ქალები..... 102

*** (განა მარტო ქართველის ცა).....	103
*** (ჯერ ბერძნები არ ჩანან...).....	104
*** (დავკარგე!)	105
სალვადორ დალი.....	106
ორი სურათი	107
ანაკრეონტის ხმა.....	108
პრემია – 100 000	109
ნაბუქოდონოსორი	110
Persona Grata.....	111
ჰელიკონი.....	112
ძველი კოლხეთი	113
*** (გზებზე ათსწლეულების)	114
იუდეა.....	115
*** (ვარსკვლავები არ ჩანან).....	116
ქალდეას და ქალაქ ურის.....	117
პოეზიის ხალენი.....	118
*** (მარადის ცივი და უკარება)	119
მნემოსინი	120
სიმღერები სირინოზთა.....	121
ქართული კულტურის დესპანი	122
მთვარე – გრაალის ტაძარი	123

შუმერებს და აქადელებს.....	124
ზღაპრები და იგავები.....	125
მთვარე შენი კარავი	126
ეგვიპტეში.....	127
პარადიგმები.....	128
*** (ზოგჯერ)	129
*** (მთვარის მაღალ ტაძართან)	130
*** (არსთგამრიგემ ნუ ქნას და...)	131
უტა.....	132
*** (მეცხრე ცაში მყოფი იგი)	133
წიწამური.....	134
*** (ცხოვრება)	135
*** (ზესკნელში მსხდარი მთიები).....	136
ვარსკვლავების ჩანს ჭურები.....	137
ბაბილო	138
*** (ვით ყოფნისა და)	139
*** (მთვარე არა).....	140
ისე, როგორც გრაალდი	141
მეტეხთან	142
*** (ზამთარია...)	143

წიგნი – ამირანი.....	144
*** (დღეს)	145
*** (ცისქვეშეთში)	146
პირველი ქრისტიანი	147
*** (აღბათ ელოდა უამთა მოხელთვას).....	148
*** (მიღმა ათასწლეულების)	149
*** (ყულევთან).....	150
*** (სილადეს და სინარნარეს)	151
ერთი ვარსკვლავი	152
*** (იყო კოლხეთი...).....	153
ნეფერტიტს და ტუტანხამონს	154
*** (ათასწლეულთა ლოცვა და ვედრება)	155
*** (ვერ აღმოაჩენ მეორედ ტროას)	156
*** (წუთისოფლის ჩახმასზე)	157
*** (ელვის ნაკვერჩხლით გზას)	158
პოეტი	159
მარდუქის ოქროს ქანდაკება ბაბილონში.....	160
*** (მძინარ ათასწლეულებს)	161

*** (ასი ავის მსურველი).....	162
რაშები.....	163
ქართული სულის კოლიზეუმი	164
*** (აჰა).....	165
*** (მოკვდავთა სულის საოხად).....	166
*** (ღამეულ ცას მეუფობს)	167
*** („ტაროს არკანები და „იძინი“).....	168
*** (ეკლესიის ზარის რეკვა).....	169
საქართველო – აფხაზეთი.....	170
*** (მტკვარი როცა კრწანისის ველს)....	171
*** (მხოლოდ ცოცხალს!).....	172
საქმისი და გრაალი.....	173
ბერბერები.....	174
ავგუსტინემ და აბრამმა.....	175
*** (პონტოს ზღვით ამოფრქვეული)	176
შუმერ-ქალდეველების.....	177
*** (სადღაც დავიწყებაში).....	178
*** (ისე, ვითა მაცხოვარი).....	179
ეგრისელის ვარსკვლავი.....	180
*** (ადამის ძეს უხდება)	181

ტყვიის ექო.....	182
*** (სულის ფრთებით ვინც მიწვდა).....	183
*** (მეხი ხანდისხან ხმას დაიბოხებს)... 184	
*** (სალამურად ჩაგესმება).....	185
რაშოვდა	186
*** (სულ სხვა არის ჩემი ცა).....	187
ზღვა და ხმელეთი.....	188
ეჰა, ქვეყანავ ლაზებ-ჭანების	189
*** (პონტოს სანაპიროზე)	190
*** (სხვა ყველაფერს...).....	191
*** (დღე-ნიადაგ მიგელის).....	192
*** (სადღაც)	193
*** (მჭახე ხმები მოისმის).....	194
*** (აქაც და იქაც...).....	195
*** (ნათლის ბნელში აღმართულან)	196
ჰომეროსს და ჰელიოსს	197
*** (სხვა პლანეტიდან შემოპარული)	198
5 700	199
*** (მზის დანატოვარი).....	200
*** (ვით მოვარე და მთიები).....	201

კასტელიც და ლამბერტიც.....	202
*** (მთავარ ანგელოზი მიქაელ)	203
ქაღდესი და ამონის	204
*** (ურწმუნოთა ქვეყნიდან)	205
*** (შუა ღამის ცივ სიხუმეში)	206
*** (შენ).....	207
ეტანა.....	208
*** (ფიქრი ტრანსცენდენტური).....	209
ფარდის მიღმა	210
*** (ბერძნულსა და რომაულ მითს).....	211
*** (სადღაც)	212
1992.....	213
ბალი სემირამიდის.....	214
*** (ადამის ძის გვარ-ტომი)	215
*** (ჩქარა კი არა).....	216
*** (მზის ღმერთის)	217
ლაკანი და დერიდა	218
ცანი ცათანი	219
*** (გზებზე ათასწლეულთა)	220
ხობოს – ენგურ – ფაზისი.....	221
*** (დიდმა გვარმა ქასქების)	222

მიწა.....	223
გაბრიელა და ფედერიკი	224
ატლანტიდა.....	225
ხეთა	226
*** (მოსვლის დღიდან ნეტარნი).....	227
შვიდი მილიარდი ტაძრის.....	228
აქილევსს და ოდისევსს.....	229
ქედები.....	230
ძვ. წ. IV საუკუნე.....	231
*** (მძინარ ათასწლეულებს)	232
*** (ზე-ცას მზისგან მიტოვებულს).....	233
მთები, ქედები, მწვერვალები	234
1993.....	235
*** (კაცს ღვთისნიერს და)	236
ენქი, გიბილი და ერდუქი	237
*** (ეპოქის სუნთქვა და გულისცემა)	238
*** (იუდეველთ ცოდვა აძევთ).....	239
ბაბილონი ძვ. წ. V ს.	240
*** (ჩე გოლას და მთას ლაკადის)	241
*** (ღამის იქიდან გადმოსულები).....	242
ხასანა – სამარა.....	243

*** (ის „თანაარსი მამის“)	244
*** (ღრუბელი ღრუბელს ელვით აშინებს)	245
*** (შენს ცის ჭერზე ჰკიდია)	246
*** (თაყნაღმიანი რბიან დღეები)	247
*** (შენი სიტყვის ჰუნეთა)	248
*** (მუხლმოყრილები მოელიან ხატებას).....	249
*** (გამთენიისას ღამის ბილიკით).....	250
*** (მტკვრის მღვრიე ზვირთები)	251
გმირი და პოეტი.....	252
*** (უძველეს კოლხურ ცას მოწყვეტილი)	253
*** (თუმც წამით).....	254
ხარ პოეტი ქარაზმული.....	255
*** (მესხეთის ცაზე)	256
*** (ეჭა).....	257
*** (ვითა საღმრთო წერილები)	258

ვაჟა ეგრისელი
კოლხური ფსალმუნები

100 ტომად
ტომი 8

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 8

გამომცემლობის რედაქტორი – მანანა ბოჭორიშვილი
მხატვარი – სპარტაკ ცინცაძე
მხატვრული რედაქტორი – ირაკლი უშვერიძე
ტექნიკური რედაქტორი – ნანა ღუმბაძე
კორექტორი – იამზე ობაძიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა – ეპა ღაღაძით ჯიმშელაძეები

გამომცემელი – ზურაბ დოლბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2019



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. კოტიბაშვილის №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com